645
1990/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

ISSN 0321-1509
3
1990

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული გუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ირმა ნიორაძე.
დავით იაკობაშვილის ფოტო.
მეოთხეზე — მოდა. ჯავარ ლომაძის ფოტო.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, ул. М. Костава 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

80

ირაკლი აბაშიძე

## პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე,
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც.
წვიმაც, ქარი, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, „კარგო" შენისთანა არაფერი!

მარიკა ბარათაშვილი

# ჟამი ღვიძილისა

ის იყო, უძრაობის ჭაობიდან თავდაღწეულებმა, გარდაქმნის ჭეშმარიტება და ყოვლისშემძლეობა ვიწამეთ და ჩვენი ცხოვრების უმგვანო ნირის შეცვლა, შელახული ადამიანური ღირსებისა და ეროვნული უფლებების აღდგენა დავაპირეთ, რომ ულმობელ ბუნებას, ამ ბოლო წლებში რომ ასე ულმერთოდ დაგვარბია, ჩვენსავე მიწა-წყალზე დასახლებულმა და გაძლიერებულმა, მოძმედ და თანამემამულედ მიჩნეულმა ადამიანებმაც ხელი წააშველეს...

მაინც არ გავტყდით, წამოვიმართეთ, შევკავშირდით, იმედი მოვიშველიეთ და ათეული წლების განმავლობაში მორღვეული რწმენის კედლების აღდგენას შევუდექით.

არადა, რამდენი რამ შეგვექმნა აღსადგენი, რამდენი პრობლემა მოსაგვარებელი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ზნეობრივი — ვერც ერთი მათგანი დაყოვნებას რომ ვერ ითმენს.

დადგა ჟამი ღვიძილისა და ვმადლობთ უფალს, რომ კვლავაც, შეჭირვების ჟამს ვიხილეთ ქართველი ერის დიდი სულიერი ენერგიის გამოშუქება.

შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი ერის ცხოვრებაში ყველაზე კრიზისულ მომენტში საბერძნეთიდან ჩამოვაბრძანეთ ხატი საქართველოს მფარველის წმინდა ღვთისმშობელ მარიამისა, არც ის, რომ ჩვენი დედაქალაქის სამ სასიცოცხლო არტერიაზე დავამკვიდრეთ დიდებული ხატებანი ჩვენი წმინდანების — ნინო განმანათლებლის, ბრწყინვალე თამარ მეფის და ქეთევან წამებულისა, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამჟამად მამულის თავისუფლებისათვის მსხვერპლშეწირვა ქალებით — დედებით და მომავალი დედებით და[illegible]...

ამ მსხვერპლშეწირვას არავინ გაუკვირვებია, რადგან ქართველი ქალის პატრიოტიზმზე, მის გმირულ შემართებაზე, ნიჭსა და გონიერებაზე, სამაგალითო დედობაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მას თავისი ტრადიციული მოწოდებებისათვის არასოდეს ულალატია, როცა კი ჰქონია საამისო ასპარეზი.

სწორედ რომ ზღაპრულ ასპარეზს აღუთქვამდა ქალთა ნიჭის გამობრწყინებას ოქტომბრის რევოლუცია. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ რევოლუციის იმ პირველი დღეების ნაოცნებარიდან ყველაზე მთავარმა — ქალთა ემანსიპაციამ თავი ვერ გაიმართლა, რადგან აღმოჩნდა, რომ ყველაზე „უხვად“ ქალს ჩვენს ქვეყანაში ერთი უფლება მოუპოვებია — განუსაზღვრელი შრომის უფლება.

რამდენი ხოტბა და დიდება აღევლინა იმ წლებში ქალებს, რომელთაც დათმეს „ოჯახის მეშჩანური იდილია“, და ინდუსტრიულ საწარმოებსა და საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს მიაშურეს, საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული „ემანსიპირებული“ ქალი სულ მალე სახალხო მეურნეობის მთავარ გამწევ ძალად იქცა. ახლა ყველა კარგად ვხედავთ, რა სიკეთე მოუტანა ამან ჯერ თვითონ ქალს და მერე ერსა და ქვეყანას.

მძიმე ფიზიკურმა შრომამ, ღამის ცვლებში მუშაობამ, მავნე სანიტარულ-ჰიგიენურ-ეკოლოგიურმა პირობებმა ქალთა მასობრივი დაავადებები გამოიწვია, მათ შორის — შვილოსნობის ფუნქციის მოშლა, ხოლო ოჯახის მოვლისა და შვილების აღზრდისათვის აუცილებელი დროის მწვავე დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა მოზარდი თაობის მორალურ-ფსიქოლოგიურ ჩამოყალიბებაზე — გაამკაცრა, გააუხეშა დედის სითბოს, სინაზესა და ზრუნვას მოკლებული ყმაწვილები. არნახულად გაიზარდა არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი.

ახლა ბევრი იწერება იმის თაობაზე, თუ რაოდენ მძიმე სულიერი და მატერიალური ზიანი მოგვაყენა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვიდან მოყოლებული, ომების, რეპრესიების, უძრაობის ათწლეულებმა: ყალბის მქმნელობა, თვალის ახვევა, კორუფცია, ზნეობის დევალვაცია და ყველაფერი ამის შედეგი — უპირველესი მოთხოვნილების პროდუქციის დეფიციტი, უხარისხო, ჩაწოლილი პროდუქცია, დარბეული საბადოები, გაჩანაგებული პლანტაციები, გამოფიტული და ეროზირებული სავარგულები და, რაც მთავარია, დამნაშავეებით სავსე ციხე-კოლონიები, დაობლებული ოჯახები...

დადგა სიფხიზლის ჟამი, რომელმაც გააშიშვლა ყველა სატკივარი და მადლობა უფალს, რომ მოგვეცა საშუალება ამ სატკივრების საქვეყნოდ გაცხადებისა, დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების ოპტიმალური გზების ძიება, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყოველი დარგის მუშაობის ძირეული გარდაქმნა. ამ დიდ საქვეყნო მოძრაობაში ჩართულია ყველა — ერი და ბერი, ქალი და კაცი.

ახლა ბევრი მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ ქალმა ყველაზე და მთლიანად უზრუნდეს ოჯახს და მხოლოდ ოჯახის ინტერესებით იცხოვროს, აჩინოს და ზარდოს შვილები.

მართლაც, შვილზე დიდი სიმდიდრე რა გაგვაჩნია! მათი კეთილად აღზრდა და დაკვალიანება, ჯანსაღი, მაღალზნეობრივი ოჯახური გარემოს შექმნა სწორედ რომ ამოცანათა ამოცანაა მომავალი საქართველოსთვის. მაგრამ მოდით, ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ვაღიაროთ: ჩვენი ქალების აბსოლუტური უმრავლესობა მარტო საოჯახო შრომას ვერ დასჯერდება. სხვა რომ არა იყოს რა, ამის საშუალებას ვერც საოჯახო ბიუჯეტი (ისედაც მცირე!) მისცემს და ვერც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

დღესდღეობით უფრო სწორი და ჰუმანური იქნება, პრაქტიკულად დავეხმაროთ დედას, რათა შევუმსუბუქოთ მისი ტვირთი, ოთხ საათამდე შევუმციროთ სამუშაო დღე; მოვუწესრიგოთ შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

დადგა ჟამი ღვიძილისა, ჟამი ჩვენი ერის სატკივარზე ერთობლივი ზრუნვისა და ოპტიმალური სამომავლო გზების ძიებისა. ამისათვის იქმნება ახლა საზოგადოებები, ასოციაციები, ფართოდ გაიშალა საქველმოქმედო საქმიანობა: დაარსდა ფონდები, გაიხსნა კოოპერატივები, დაუწესდა შეფობა ბავშვთა და მოხუცთა სახლებს, სკოლა-ინტერნატებს, გაუორკეცდა ზრუნვა მრავალშვილიან ოჯახებს, ობოლ და მიტოვებულ ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებს, შრომისა და ომის ინვალიდებს. ამ ჰუმანური აქციების გულმხურვალე მონაწილენი არიან ჩვენი ქალები.

როდესაც სტიქიისაგან დარბეული სვანებისა და აჭარლების დასახმარებლად და დასასახლებლად ფეხზე დადგა მთელი საქართველო, დიდად გააააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ჩვენმა ქალთა საბჭოებმა.

ქალები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციებშიც.

სამხატვრო გალერეის წინ მსხდომი მგლოვიარე დედები: „ჩვენს საქმეს აღარაფერი ეშველება, მაგრამ ეს ჩვენი პროტესტი საბრძოლო საშუალებაა, რათა აღარ განმეორდეს ის, რაც იყო, აღარ იღუპე-

1932
საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ბოდნენ შვილები, აღარ გამწარდნენ დედები, არ ირღვეოდეს მართლმსაჯულება“...

თბილისს მოაშურეს შიდაქართლელმა ქართველმა დედებმა, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ აღიკვეთოს ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მტრობისა და სიძულვილის გამჩაღებელთა ბნელი საქმიანობა.

შეიქმნა ჯარისკაცთა დედების რესპუბლიკური ასოციაცია, რომლის მიზანია ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების სამხედრო ნაწილებში გამეფებულ სრულ განუკითხაობას, რომ ქართველი ჯარისკაცები სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე; რომ საქართველოში აღდგეს გაუქმებული ეროვნული საჯარისო ნაწილები და სხვა.

ქალთა სხვა საზოგადოება იმისათვის იბრძვის, რომ ქართველი სამართალდამრღვევნი აქვე იხდიდნენ სასჯელს.

ბევრი მომხრე ჰყავს იმ იდეასაც, რომ საქართველოში გამოძებნონ სამუშაო ადგილი ჩვენს ახალკურსდამთავრებულ სპეციალისტებს, აღარ ხდებოდეს მათი ქვეყნის შორეულ ჩრდილოეთში თუ აღმოსავლეთში განაწილება.

...იყო დრო, რუსეთისა და უცხოეთის უნივერსიტეტებში მიემგზავრებოდა ჩვენი სწავლამოწყურებული, რჩეული ახალგაზრდობა, რათა შემდგომ სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურში გაეხარჯა იქ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება. უკანასკნელ ხანს, სხვათა გვარად, ამ ტრადიციამაც განიცადა დევალვაცია: ყოველ ზაფხულს ჩრდილოეთის უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურებს დიპლომის მაძიებელი მრავალათასიანი ლაშქარი. ცოდნას ვინ ჩივის, ბევრმა ის ენაც არ იცის რიგიანად, რომელზეც ლექციები უნდა მოისმინოს და სასკოლო საგნები ჩააბაროს. რამდენი თავისმომჭრელი პუბლიკაცია გამოაქვეყნეს ამის თაობაზე გაზეთებმა, როგორ გაილანძღა ჩვენი რესპუბლიკა.

ჩვენს საერო ტკივილებზე თვალის მოხუჭვა აღარ გვეპატიება! ჩვენს გაჭირვებულებს, უსახლკაროებს თუ გზააბნეულებს ჩვენვე უნდა მოვუაროთ.

ახლა ჩვენ გვმართებს ვიყოთ შემწყნარებლები ერთმანეთის მიმართ, ავმაღლდეთ წვრილმანსა და პირადულზე, შევმტკიცდეთ და კიდევ უფრო მიზანსწრაფულად განვაგრძოთ ჩვენი დიდი სალოცავის, საქართველოს შემდგომი აღმშენებლობა-განმტკიცებისათვის გარჯა.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

დიალოგი პრობლემურ საკითხზე

# „დაჭკნობა ყვავილებისა, ღმერთო, რა დიდი ბრალია“

ჩვენი ჟურნალის განყოფილების გამგე ეთერ ჯაფარიძე ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ეროვნებათშორის ურთიერთობის სექტორის გამგეს, ყოფითი კულტურის მკვლევარს ბიჭი მარუაშვილს. ვაქვეყნებთ ამ დიალოგს.



— თქვენს პუბლიცისტურ სტატიებში, აგრეთვე მეცნიერულ გამოკვლევებში, სოციალური პრობლემები ყოფითი კულტურის პრიზმიდან არის დანახული. საინტერესოა თქვენი შეხედულება დღევანდელი საზოგადოების შესახებ, იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უჭირავს თანამედროვე საზოგადოებაში ოჯახს, ქალს, დედას, როგორია მისი როლი?

— შვიდი ათეული წელიწადია, რაც დაუღალავად ვამტკიცებთ, რომ შევქმენით მსოფლიოში ყველაზე პროგრესული, მოწინავე საზოგადოება, რომელსაც არ ახასიათებს რაიმე სოციალური სიმახინჯე, საერთოდ, მოსპობილია წესიერებისაგან გადახვევის ყოველგვარი შე-

საძლებლობა. ასე რომ, დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით უნიკალური, წმინდა, კრისტალური, ახალი მორალური კოდექსით შეიარაღებული კომუნიზმის მშენებელი ხალხი, რომელიც არ სცნობდა არავითარ პირადულს, ზოგადსაკაცობრიოსა და ანტიინდივიდუალურის გარდა. ასეთ ვითარებაში ძნელია საკუთარ თავსაც გაუტყდე, რომ, თურმე, ჩვენ შევქმენით საპირისპირო იმისა, რასაც საქვეყნოდ ვამტკიცებდით — ანომიური საზოგადოება.

**— ალბათ, გულისხმობთ დეფორმირებულ საზოგადოებას.**

— სამწუხაროდ, ეს უფრო რადიკალურ აზრს გამოხატავს... დეფორმირებული საზოგადოება გულისხმობს, რომ იყო ის, რისი დეფორმაციაც შეიძლებოდა, ან რამაც დეფორმაცია განიცადა. ანომიური საზოგადოება უარყოფითი, ნეგატიური საზოგადოებაა. ამ მნიშვნელობით ხმარობს ამ ტერმინს ამერიკელი სოციოლოგი რ. მერტონი. მას მიაჩნია, რომ ანომიური საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც ინდივიდუალური მიზნების მიღწევა შეუძლებელია კანონიერი გზით. სამწუხაროდ, ჩვენმა პროგრესულმა უკუსვლამ ეკონომიკურ, სოციალურ, მორალურ სფეროებში ისეთ წერტილს მიაღწია, საიდანაც კრიზისის დასასრული — კატასტროფა იწყება, საიდანაც ცოცხალი ორგანიზმი კვდომას იწყებს და შეუქცევადი პროცესები ვითარდება. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული შეცვლა, მისი თვისებრივი გარდაქმნა.

**— გეთანხმებით! სულ ახალ-ახალი კუთხით წარმოჩინდა პრობლემები, რომლებიც დიდი ხანია გადაწყვეტილი გვეგონა, კერძოდ, სოციალისტური კულტურის შესაძლებლობანი, მისი ნამდვილი არსი, სოციალისტური ცხოვრების წესი და სხვა მისთანანი.**

— დღევანდელობაში მარქსისტული მოძღვრების ფუძემდებლური დებულება აღიარებს: ორი სისტემის — კაპიტალისტურისა და სოციალისტურის თანაარსებობა შესაძლებელია მსოფლიო მასშტაბით, იმის მიუხედავად, რომ ორივე სისტემას გააჩნია ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი და სპეციფიკური ნიშნები. ამავე დროს, მიგვაჩნდა, რომ ერთი — სოციალისტური — აუცილებლობით, აღმავლობის გზით მიდის, ხოლო მეორე — კაპიტალისტური — ასევე აუცილებლობით, დაბლა მიექანება, კრიზისებით ირყევა და ლპება. სინამდვილეში აღმოჩნდა რომ კრიზისები ჩვენთვის არის მომაკვდინებელი, რადგან ვერა და ვერ მოგვიძებნია მისგან თავის დაღწევის გზები. ხოლო აქამდე მხოლოდ კაპიტალიზმისათვის მიკუთვნებული დეფორმაციები: პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, თუ სხვა სახელმწიფოებრივი თუ ინდივიდუალური, ტირანული ექსპლოატაციის სოციალური უმსგავსობანი, იმდენი გვახვევია თავს, სახელიც კი ველარ დაგვირქმევია.

**ამის მიუხედავად, ზოგიერთი იდეოლოგიური ინსტიტუტი დღესაც კატეგორიულად გამორიცხავს ორი დაპირისპირებული იდეოლოგიის — კაპიტალისტურისა და სოციალისტურის თანაარსებობას.**

— დიახ, ასეა, მაგრამ, სინამდვილე სულ სხვას აჩვენებს და ძველებური შაბლონი აქაც ინგრევა... ამ ბოლო ორ-სამ წელიწადში ნათლად წარმოჩინდა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს ურთულესი პროცესი — ხდება ორი ანტაგონისტურად დაპირისპირებული სისტემის დაახლოება, რამაც შესაძლებელი გახადა მრავალი საზოგადოებრივი პრობლემის ერთტიპიური დამუშავება და მთელი რიგი სხვა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ერთობლივი ღონისძიებათა განხორციელება.

ისევ თქვენს კითხვას მინდა დავუბრუნდე და გამოვთქვა აზრი იმის თაობაზე, თუ რა ძნელია დღევანდელი საზოგადოებრივი მოვლენების სოციალური ანატომიის თვალსაზრისით შესწავლა და მისი ახსნა, დარქვა ჩვენს საზოგადოებას ნამდვილი სახელი. ამ მხრივ ბევრი ვარაუდია გამოთქმული, მათ შორის ისეთიც, რომლის მიხედვითაც დღევანდელი საზოგადოება ყველა, მანამდე არსებული ფორმაციის ნიშანს შეიცავს. ასე რომ, საზოგადოება მართლაც უნიკალური გამოვიდა... მხოლოდ ნეგატიური თვალსაზრისით.

**— ეს ყველაფერი, ცხადია, პირველ რიგში აისახება ოჯახში. ცნობილია, რომ ოჯახის ფუნქციონირება და მისი განვითარება არსებითად დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელიც არსებობს, იმაზე, თუ რა როლი დაეკისრება ქალს, როგორც საზოგადოების წევრს. და როგორც დედას.**

— დიახ, ოჯახის პრობლემა დღეს მწვავედ დგას მსოფლიო მასშტაბით. გლობალურად მიმდინარეობს ოჯახის ფორმების ძალზე სწრაფი ცვლა, რის შესწავლასაც ე. წ. კაპიტალის ქვეყნებში მეტი გულისყურით ეკიდებიან. ჩვენთან კი იმის გამო, რომ პრობლემების წინაშე თვალებს ვხუჭავთ, მრავალი რამ შეუსწავლელი აღმოჩნდა და ისეც ტაბუდადებული ნაკლოვანებანი აუხსნელი დარჩა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ათწლეულების განმავლობაში ე. წ. „საბჭოთა ოჯახი“ დაექვემდებარა მრავალგვარ სოციალურ დეფორმაციებს. თავის მხრივ ოჯახის ფორმისა და ფუნქციის ცვლილება არ წარმოადგენს უბრალო რეაქციას სოციალურ პროცესებზე, არამედ ეს ცვლილებანი ერთიმეორეს ავსებენ და თავს იყრიან ერთ ფოკუსში, იმ ცხოვრების წესში, რომელსაც დღემდე სოციალისტურს ვეძახით. თუ ეს ასეა, მაშინ კრიზისის ყველა სახე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება განიცდის, ბობოქრობს მის უჯრედში — ოჯახში და რაკი ქალია ოჯახის მამოძრავებელი ღერძი, არა მხოლოდ ფიგურალური, მხატვრული გამოთქმით, არამედ რეალურად, სინამდვილეში, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ ე. წ. „საბჭოთა ქალი“ აღმოჩნდა კატასტროფულ ვითარებაში.

უახლესი მონაცემებით საბჭოთა კავშირში 150 მილიონი ქალია, რომელთაგან მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა 40 პროცენტი. ხის დამმუშავებელ, ცელულოზის, მინის წარმოების, მშენებლობის, მიწათმოქმედების დარგებში დასაქმებულია ქალთა 50 პროცენტი. ასეთ ვითარებაში ქალს უჭირს გასწიოს საოჯახო ჭაპანი. თუ ვიგულისხმებთ, რომ მას ოჯახში კიდევ უფრო მძიმე შრომა ელოდება, წარმოვიდგენთ, რა დონემდეა იგი ქანცგაწყვეტილი.

მთელი შინაგანი ტრაგიზმი ის იყო, რომ ქალის უფლებრივი თანასწორობა გზას უხსნიდა მას საზოგადოებაში კაცის დონეზე თანასწორი მოღვაწეობისაკენ, მაგრამ მან უნდა შეასრულოს ბუნებით მინიჭებული ფუნქცია: შობის და აღზარდოს შთამომავლობა. ნორმალური საზოგადოება ცდილობს საამისოდ მოამზადოს, გაანათლოს და გაათავისუფლოს ქალი ყველა სხვა სამუშაოსაგან. მაგრამ ჩვენთან გაჩნდა მანამდე არ არსებული ახალი ტიპის პიროვნება — ქალი ბოლშევიკი, ბოლშევიკისათვის კი საზოგადოების რევოლუციურად მოწყობა, პოლიტიკაა მთავარი. აქ ქალს მებრძოლი კაცის თანაბარი ტვირთი დაეკისრა.

ქალის პოლიტიკურ (და ფიზიკურ) ბრძოლაში ჩაბმის ტრაგედია ყველაზე ნათლად აისახა ა. ლუნაჩარსკის ხშირ გამოსვლებში ქალის განთავისუფლების საკითხებზე. აი, როგორ გამოხატავს იგი ქალის განცდას, როცა იგი პოლიტიკურ ბრძოლას წყდება... «Да временно наши коммунистки вынуждены бывают отрываться от работы, они в это время могут оказаться «балластом». Это не их вина, а их беда».

ალბათ, მიხვდით, რომ სამუშაოდან დროდადრო მოწყვეტაში ქალის ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოვალეობის აღსრულება — შობა და აღზრდა იგულისხმება, რაც თურმე, ბოლშევიკი ქალისათვის ტრაგედია და უბედურება იყო. ასე რომ, გათანაბრების მომიზეზებით სოციალური აქცენტების გადანაცვლებამ კარგი შედეგი როდი მოგვიტანა.

**— გამოდის, რომ ქალისა და კაცის უფლებრივმა გათანასწორებამ ქალი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. საქართველოში ხომ ქალი ისტორიულად იყო ამაღლებული, მარტო რუსთველის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, რად ღირს?**

— მხედველობაში მაქვს ულოგიკო გათანასწორება, რის გამოც ქალის რაო-

ბისა და ფუნქციის აზრი იკარგება. ასეთი ნიველირების პოლიტიკამ თავის მხრივ მრავალი პრობლემა წარმოშვა, რომელზეც თავს ვიმტვრევთ და ვერ კი ვადაგვიწყვეტია.

**— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?**

— კერძოდ, ის რომ ნიველირებით, მექანიკურად შეიქმნა ცნებები „საბჭოთა ხალხი“, „საბჭოთა ოჯახი“, რომლებმაც ასევე ნიველირებით ნეგატიური შინაარსი გაიჩინა. მე უფრო მეტიც მგონია... დღევანდელი ეროვნებათშორისი კონფლიქტებისა და პრობლემების სათავეც სწორედ აქ არის. საერთოდ, არ შეიძლება რეალურად არსებობდეს განზოგადებული „საბჭოთა ხალხი“, რადგან იგი კონკრეტული ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი და სხვა ხალხებისაგან არის შედგენილი და ყოველ მათგანს ერთიმეორისაგან განსხვავებული თავისებურებანი აქვს, რომლებიც არასოდეს არ წაიშლება და არც გაქრება (მაშინ ერი არ იარსებებს), წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა კონგლომერატი, რომელიც ბაბილონის გოდოლს, ანუ კომუნიზმს აშენებს.

ასევე შეუძლებელია ერთიანი „საბჭოთა ოჯახის“ ცნება ვარგოდეს. ოჯახი შეიძლება იყოს ქართული, რუსული, სომხური, თათრული და ასე შემდეგ, რადგან დაფუძნებულია ქალის ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ ტიპზე. ბიოლოგიური დატვირთვაც სხვადასხვაა, შესაძლებლობა, ხასიათები და ტემპერამენტიც სხვადასხვა, ბუნებრივი სიმშვენიერეც სწორედ ამ სხვადასხვაობაშია ჩამარხული.

ახლა ჩვენი შაბლონური აზროვნების ფონზე წარმოვიდგინოთ, რომ ეს სხვადასხვაობა არ გვჭირდება და ძირითადი ცენტრისტული ერთტიპიურობაა; მაშინ აღმოჩნდება, რომ ქართული ოჯახი, ან, ვთქვათ უზბეკური, სომხური და ა. შ. ერთიანი საბჭოთა ოჯახის ორგანული ნაწილია. ასეთ შემთხვევაში მთლიანად — საბჭოთა ოჯახების კონგლომერატია, რაც უსათუოდ საუკეთესო იდეალიც იქნება, რადგან ჩვენი თეორიის მიხედვით, რაც უფრო მრავალფეროვანია ქვეყანა (და მაშასადამე ოჯახი), მით უფრო მდიდარი და ბედნიერია იგი.

დიდი ხანია ასეთი უაზრობა სრულ ჭეშმარიტ რეალობად გამოვაცხადეთ. სინამდვილე კი სრულიად სხვას არამარტო ღაღადებს, არამედ აკეთებს კიდეც. არ შეიძლება ყველაფერი ერთმანეთში მექანიკურად არიო და აქედან ნორმალური, სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმი მიიღო.

ასე რომ, არ შეიძლება ცენტრში იწერებოდეს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა სოციალური ყოფის განმსაზღვრელი კანონები. ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც ის, რომ ექიმმა შეკრიბოს სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილი ადამიანები და მათ ხელაღებით, ყველას ერთიდაიგივე წამალი გამოუწეროს, თან სავალდებულო გახადოს ამ წამლის მიღება...

**— ზოგისათვის იგი შეიძლება საწამლავი აღმოჩნდეს, უბრალოდ ავნოს, ან არაფერში გამოადგეს.**

— დიახ. შემიძლია საამისოდ კონკრეტული მაგალითი მოვიყვანო. მოგეხსენებათ, რუსეთისათვის არსებობდა და არსებობს არა თუ ალკოჰოლიზმის პრობლემა საერთოდ, არამედ ძალიან კონკრეტულად მთვრალი ქალის პრობლემაც. ლ. ნ. ტოლსტოი წერდა: «Это — самое ужасное. самое противное — пьяная баба».

მოგეხსენებათ, ალკოჰოლიზმი სოციალური ბოროტებაა, მაგრამ იგი მხოლოდ იქ არის აყვავებული, სადაც საამისოდ შესაბამისი ნიადაგი არსებობს — ხალხის სათანადო მზაობა. ვწერთ და კანონით ვკრძალავთ, ვებრძვით ალკოჰოლიზმს იმის მაგივრად, რომ სოციალურ ცნობიერებაში გავასწოროთ რაღაც მოშლილი მექანიზმი, ცხადია იქ, სადაც ეს საჭიროა.

ამიტომ, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც გაჩენის დღიდან გამოვაცხადეთ, შედეგის მომტანი არ აღმოჩნდა. ცნობილია, რომ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ არა ნაკლები მკაცრი ბრძოლა ოციან წლებშიც გამოვაცხადეთ, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. ისე, როგორც არ შეიძლებოდა, ვთქვათ, მოჰყოლოდა შედეგი კიბოს წინააღმდეგ უმკაცრესი კანონის შემოღებას, თუ დაავადებული მექანიზმის საიდუმლოს არ ამოვხსნიდით.

საქართველოში არც ლოთობისა და არც ლოთი ქალის პრობლემა არ არსებობს. ამის თაობაზე კანონის ცენტრიდან მიღებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ჩვენი მეურნეობის ძირითადი დარგი—მევენახეობა გაგვიჩანაგა.

**— რას იტყვით ქალთა ემანსიპაციის შესახებ, ხომ არ შეიძლება ისიც განვიხილოთ, როგორც ნიველირება?**

— მართალია ემანსიპაცია არ არის ნიველირება, მაგრამ ცუდად გაგებული ემანსიპაციაც არ არის ნაკლები ზიანის მომტანი. მაგალითად, პოლიტიკური ან სხვა თავისუფლებით ქალმა შეიძლება კაცის ტოლი და სწორი საქმე გააკეთოს, იყოს ვთქვათ, რაიკომის მდივანი, პარტორგანიზაციის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, დაწესებულების ხელმძღვანელი და სხვ. მაგრამ არსებობს, ამას ვაღიარებთ თუ არ ვაღიარებთ, ნეგატიური თანამდებობრივი ატრიბუტები — პრესტიჟული მოთხოვნები და ამბიციები, რაც ქალის ფსიქიკას აუხეშებს. იმის მაგიერ, რომ ქალს თვითონ შეჰქონდეს სითბო და სინაზე ე. წ. „უხეშ, ამბიციურ“ თანამდებობებში, პირიქით, სამწუხაროდ, თვითონ უხეშდება და ქალის სახეს ჰკარგავს.

მსოფლიომ უკან დაიხია ქალისა და კაცის უფლებების სრული ნიველირების საფრთხის წინაშე, რადგან ყოველივე იმან, რაც ჩვენ დიდ მონაპოვრად მიგვაჩნია და, თუ შესაძლებლობა მოგვეცა, ვიკვეხნით კიდეც — ქალთა სრულმა „თავისუფლებამ“ ქალის სული გააუხეშა და დაუკარგა მას ქალური სინაზე.

აბა დავფიქრდეთ, რატომ არის, რომ ადათი ქართველ ქალს ქათმის დაკვლის უფლებას არ აძლევს? ქალის დაკლული არ იჭმებაო. ზოგჯერ შევხვდებათ დგას ქალი ქათმითა და დანით ხელში და ელოდება კაცის გამოვლას. განა ძნელია ქათამს თავი წააგდებინო? იოლია, მაგრამ რას მოუხერხებ სულს, რომელმაც სისხლის დაღვრა თუ არაფრად ჩააგდო, გაუხეშდება, შეუძლია კი ასეთი სულის მქონე ადამიანს ბავშვის ნორმალური აღზრდა? ქალი ხომ დედა და აღმზრდელია?

პრობლემის მკვლევარნი უფრო შორს წავიდნენ და ის გარემოება, რომ ქალს მშობიარობის დროს რძე მასობრივად აღარ უჩნდება, ქალის ფიზიოლოგიური თავისებურებების ხელოვნურ გაუხეშებას მიაწერეს: შეიქმნა ქალის ე. წ. „კაცური ტიპი“, უფრო სწორად, ქალის ორგანიზმიც გაუხეშდა ამგვარი გაუხეშებული ტიპის შექმნით. ეს შეიძლება პრობლემების რამდენადმე გაუბრალოებული წარმოდგენაც იყოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და პროგრესულმა საზოგადოებრივმა აზრმა დიდი ხანია დაიწყო გამოსავლის ძებნა. ჩვენ კი კვლავ არხეინად გვძინავს და „ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია“.

უნდა გვეყოს გაბედულება და ვაღიაროთ რომ სანამ ჩვენ „ვიცოხნით“ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ გაცილებით მეტი რამ მისცა თანამედროვე ოჯახს. გაიზარდა მისი სიცოცხლისუნარიანობა, მყარად დაეფუძნა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას, შესაძლებელი გახდა ანაზღაურებისა და ხელფასის საკმაროობა მოზარდების, ახალგაზრდებისა და ქალებისათვის, გაიზარდა თავისუფალი დრო, მიმდინარეობს აღზრდის პროცესის სრულყოფა, განათლება ხელმისაწვდომი ხდება თითქმის ყველა ფენისათვის, ვითარდება თვითგამოხატვის ეთიკა, მაღალ, პროფესიულ სამედიცინო მომსახურებაზე დამყარებული მოსახლეობის მატების რეგულირება.

ეს ყველაფერი მოხდა იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქალები ბამზე — მკაცრი ტაიგის პირობებში დამკვრელურად შრომობდნენ, მსოფლიოს დიდი მდინარეების კალაპოტის შეცვლისათვის ოფლსა ღვრიდნენ ხნ აქვე, ჩვენს თვალწინ ფერმებში, ღორებსა და პირუტყვს „კაცებზე უკეთ“ უვლიდნენ.

ჩვენი პრესა, რადიოც და ტელევიზიაც ამოჩემებულად მხოლოდ იმათ აქებდა (ქალები მყავს მხედველობაში), რომლებსაც თავისი ბუნებრივი ფუნქცია ჰქონდათ დაკარგული — მოღვაწეობდნენ ოჯახს გარეთ, მართავდნენ

ტრაქტორსა და კომბაინს, ასრულებდნენ უმძიმეს სამუშაოს. მხოლოდ ამ ბოლოს გავახილეთ თვალი და მივხვდით, რომ ერთი შვილის აღზრდა გაცილებით ძნელია, ვიდრე მრავალი გოჭისა.

მართალი რომ გითხრათ, ძალზე ულაზათოდ, არა ეთიკურად და ესთეტიკურად გამოიყურება, როცა გაზეთში თუ ჟურნალში მსხვილი პლანით დაბეჭდილია ფოტო—ქალიშვილი გულზე მიხუტებული გოჭით (ბოდიშს მოვიხდი, ასეთი ფოტო იყო დაბეჭდილი თქვენს ჟურნალშიც).

რისთვის ვაკეთებთ ამას?

დარწმუნებული ვარ, ხელში აყვანა და თუნდაც მსოფლიოში ულამაზესი ქალწულის მკერდზე მიხუტება იმ საცოდავ გოჭს არავითარ სიამოვნებას არ განაცდევინებს, არც ის მგონია, თვითონ გოგონას სძენდეს რაიმე სიკეთეს...

მახსენდება ინციდენტი, რომელიც ერთ-ერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში შემემთხვა. ანტიკომუნისტურად განწყობილმა იდეოლოგებმა გვიჩვენეს დოკუმენტური ფილმი, ჩვენს ქვეყანაში გადაღებული, სადაც ჩვენი ზომა—წონითა და ეპითეტებით გადმოცემული იყო ერთი მეღორე ქალის ცხოვრება. ქალი ზესწრაფად დაჰქროდა, მიჰქროდა სახლიდან ფერმაში, არც ერთი დედა-ღორი და გოჭი არ რჩებოდა უყურადღებოდ და ბოლოს „ვალმოხდილი" ბედნიერი სახით ბრუნდებოდა შინ. კომენტატორი — ჩვენდამი მტრულად განწყობილი კაპიტალიზმის დაქირავებული აგენტი — ასეთ წინადადებას ამბობდა: როგორც დავაზუსტეთ ამ ქალს თურმე ხუთი შვილი ჰყავსო.

ცხადია, როგორც შეგვეფერებოდა, ამ ფაქტის გამო დიდი აღშფოთება გამოვთქვით — ჩვენში ყოველგვარი შრომა ფასდება, განსაკუთრებით კი ქალისა-თქო, მაგრამ იმ დალოცვილებმა კამათს თავი აარიდეს: რა ვქნათ, ვერავინ ვერაფერს გიშველით, როცა თქვენ თვითონ ჭრით იმ ტოტს, რომელზეც ზიხართო.

ქალი ჩვენს ქვეყანაში გავათავისუფლეთ ბუნებრივი მოვალეობისაგან, მაგრამ ამით თვითონ ქალიც და ჩვენი საზოგადოებაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩავაყენეთ. სსრ კავშირში ყოველ 100 დაბადებულ ბავშვზე 192 აბორტი მოდის. ეს უმძიმესი მაჩვენებელია, რაც ქვეყნის ღრმა ჩამორჩენას მოწმობს.

იქნებ შესაძლებელი იყოს ქალს არ მოვთხოვოთ იმ სამუშაოს შესრულება, რაც მის ქალურ ბუნებას ეწინააღმდეგება? თორემ ,საზოგადოება გადაგვარდება და მსოფლიოში ყველაზე მაღალი ზნეობრივი იდეალებით შეკრული თაიგულის ნაცვლად ხელთ შეგვრჩება უსახური, უფერო და უსუნო ყვავილი!

არადა, როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა, მართლაც „დაჭკნობა ყვავილებისა, ღმერთო, რა დიდი ბრალია".

# ახალი ლექსები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბერდია ბერიაშვილი

## როგორ აგიხსნათ?!

მე ისე კარგად ვით უნდა გითხრათ,
ჰკითხეთ ჭიუხებს, მთებს და ჭალაკებს,
რატომ ვსაუბრობ იმათთან დიდხანს,
ან წყაროსთან რა მალაპარაკებს.
როგორ აგიხსნათ, რაც უნდა გიხსნათ,
ცას შეეკითხოთ, ეს კიდევ მესმის,—
ლურჯი ხანძარი გამთენიისას,
როგორ შემოდის სულში და ლექსში...
როგორ აგიხსნათ, რა უნდა გითხრათ,
შეხეთ ჭიუხებს, ჭალებს, ჭალაკებს...
მათი მადლია, რად უნდა კითხვა,
რომ სიყვარული მალაპარაკებს.

## ჩვენ მოვდიოდით ნარიყალადან

ზეცამ ღრუბლები გადიყარა და
ცაზე გამეფდა ფერები ლილის.
ჩვენ მოვდიოდით ნარიყალადან,
ნარიყალადან ვუმზერდით თბილისს.
ვუმზერდით, მზერა გვსურდა ხელახლა,
მოირხეოდა მტკვარი წყნარადა.
თითქოს თბილისი ჯერ არ გვენახა,
ისეთი ჩანდა ნარიყალადან.
თუ რამ სწყენია, ჩასთვლის არადა,
ვინც ამ მიწაზე, ამ ცის ქვეშ ივლის:
. . . .
ჩვენ მოვდიოდით ნარიყალადან,
ნარიყალადან ვუმზერდით თბილისს.

## მივქრი ხრამის პირს

რაც რომ დავკარგე ღიმილი შენი,
აღარ ასვენებს ჩემს გულს დარდები.
თითქოს და... ხრამის პირს მივქრი ცხენით.
მივქრი ხრამის პირს და შიგ ვვარდები.
გადმოიხედო იქნება ჩემსკენ,
ხრამში დის წყალი, — ქცეული ქაფად.
შენზე ოცნებას და შენზე ფიქრებს,
ჩავეჭიდები, ვით ცხენის ფაფარს.

## შემიყვარე...

ვისთვის კეტავ,
ვისთვის აღებ გულის კარებს,
რას მემდური,
წითლად ლოყაალანძულო?!
შენ გძულდი და
სიგიჟემდე შეგიყვარე,
შემიყვარე,
იქნებ მაშინ შეგიძულო.

## სიყვარულის ქალაქში

მახსოვს, შევჩერდი ქალაქის კართან,
მახსოვს, ცდუნებას ვერაფრით ვძლიე.
ამოუხსნელი ძალით მიყვარდა
ის, — ვისაც ახლა სხვა უყვარს ძლიერ.
ის აქ ცხოვრობდა, ამ დიდ ქალაქში
და ყურს უგდებდა მის ქუჩებს ხმიერს.
ცელქი გოგონა, გოგონა-ბავშვი,
ქალაქს მატებდა შნოსა და იერს.
როს მოვაღწევდი ქალაქის კართან,
მე ვყიდულობდი აპრილის იებს.
. . . .
ამოუხსნელი ძალით მიყვარდა
ის, — ვისაც ახლა სხვა უყვარს ძლიერ.

## ქვეყანას მოსდებს

რამდენს ვნვალობ, რომ სათქმელი გითხრა,
მაგრამ ვმუნჯდები, შეგხვდები რა წამს.
თვალებში რად ვერ ამოგიკითხავს,
რატომ ვმუნჯდები, რა მდაგავს, რა მწვავს.
ვინ მითანაგრძნობს ღამეგანათევს,
ნიავს გავანდო! ვით ვენდო, ოდეს
სხვასთან წაილებს ნათქვამს და სათქმელს,
ჩამოივლის და... ქვეყანას მოსდებს.

## შენგან არაფერს

თვალს ავაყოლებ კლდოვან ქარაფებს,
ჩანს, რომ ამაო იყო ყოველი.
შენგან არაფერს, შენგან არაფერს,
შენგან არაფერს აღარ მოველი.
ქარი შემანჯღრევს, როგორც უარი,
მესმის სიმღერა ბედზე ჩივილის
და მართლა, სადმე ბედი თუ არი,
თუ ვინმეს ესმის ჩემი ჩივილი,
მეც ამიმწვანებს კლდოვან ქარაფებს,
რომ დამავიწყოს დარდი ყოველი.
შენ კი... მშვიდობით, შენგან არაფერს,
შენგან არაფერს აღარ მოველი.

# მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, აკადემიკოს მამია კომახიძის რჩევითა და რეკომენდაციით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს მივაშურე. ნინო ჯავახიშვილს პირადად არ ვიცნობდი და წინასწარ ვალაგებდი აზრებს, როგორ და რა უნდა მეთქვა მისთვის. შევაღე ინსტიტუტის კარი (ინსტიტუტი მაშინ კამოს ქუჩაზე მდებარეობდა). მივადექი ოთახს, რომელსაც ეწერა „დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში", დავაკაკუნე და შევდგი თუ არ ფეხი ოთახში, მაშინვე შევცბი: ჩემს წინ იდგა მშვენიერი ქალი. ვერც სიტყვის ამოღება მოვახერხე, ვერც ადგილიდან დავიძარი. ქალბატონ ნინოს გაეღიმა და მითხრა, რომ იცის ჩემი მისვლის მიზეზი (ბატონ მამიას უკვე დაერეკა). საუბარი მორფოლოგიას შეეხო. უნებურად წამომცდა, რომ მორფოლოგიაში მუშაობა მინდოდა. ქალბატონმა ნინომ არ დააყოვნა, გადმოიღო გულის ანატომიური პრეპარატი, ჯერ მაჩვენა თუ როგორ უნდა დამუშავდეს გულის სისხლძარღვები და მთხოვა მაშინვე შევდგომოდი მუშაობას. დავიწყე სისხლის ძარღვების პრეპარირება, მართალი გითხრათ, ამ მოსაწყენმა და კირკიტა, შავმა სამუშაომ მაშინ დიდი სიამოვნება როდი მომგვარა. მხოლოდ ახლაა ჩემთვის ნათელი, რომ თავიდანვე ანატომიური კვლევის ანბანის აუთვისებლად დიდ მეცნიერებაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. დღესაც ქალბატონი ნინო თავისი ხელით ამზადებს პრეპარატებს და აკეთებს ოპერაციებს თავისი მეცნიერული საჭიროებისათვისაც და ახალგაზრდა თანამშრომლებისთვისაც. ეს გასაგებია, რადგან უამისოდ შეუძლებელია სრულფასოვანი მეცნიერული კვლევა. ყოველივე ეს მოგვიანებით შევიგნე, მაშინ კი გადავწყვიტე ინსტიტუტი დამეტოვებინა და სამუშაოდ სხვა ადგილი მომეძებნა. მართლაც, 10 დღის განმავლობაში არ გამოვჩენილვარ ინსტიტუტში. ერთ დღეს, სურათების გალერეის დათვალიერებისას, ქალბატონ ნინოს და ბატონ მამიას პირისპირ შევხვდი. ვცდილობდი ქალბატონ ნინოსთვის თვალი ამერიდებინა, რადგან გავიფიქრე აუცილებლად დამტუქსავს-მეთქი, მაგრამ მოხდა სასწაული, თითქოს არაფერი მომხდარაო, ქალბატონმა ნინომ შემიქო ნამუშევარი და თან დასძინა, გულის მეორე პრეპარატი უკვე შერჩეული მაქვს და ხვალვე შეგიძლია შეუდგე მუშაობასო. მეორე დღესვე დავბრუნდი და სამუშაოდ დავრჩი ინსტიტუტში. ჩემი ეს გადაწყვეტილება შედეგი იყო ქალბატონ ნინოს უსაზღვრო გულითადობისა, ადამიანებთან ურთიერთობისას მისი ზედმიწევნით დახვეწილი ტაქტისა და კეთილმოსურნეობისა.



ქალბატონმა ნინომ და ბატონმა მამიამ შემირჩიეს პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომის თემა, რომელიც შემდგომში მთელი ჩემი სიცოცხლის საქმედ იქცა (მხედველობაში მაქვს კვლევა-ძიება ანდროლოგიის დარგში).

ორი ათეული წლის წინათ, ქალბატონმა ნინომ დამიბარა და მითხრა, რომ ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მივემგზავრები და ჩემს აქ არყოფნაში ინსტიტუტს უხელმძღვანელეო. მე, ცხადია, გავიკვირვე და უარი ვთქვი შეთავაზებულ წინადადებაზე იმ იმედით, რომ მეცნიერებათა კანდიდატს არ შეიძლება ენდოს ასეთი დიდი საქმე მაშინ, როდესაც ინსტიტუტში მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორებიც არიან-მეთქი. ქალბატონმა ნინომ მიპასუხა, რომ ამას საქმე ასე მოითხოვსო და თან დამამშვიდა — ხელმძღვანელობა არც თუ ისე ძნელი საქმეა, თუ შემდეგ დებულებებს დაიცავო:

პირველ ყოვლისა სწორად უნდა შეაფასო შენი პიროვნება, რაც თანამშრომლებთან ურთიერთობას გაგიადვილებს, მტკიცედ უნდა იყო მიზანდასახული, არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეურაცხყო ადამიანის ღირსება. ამრიგად, ქალბატონ ნინოს შეგონების შედეგად, მეც ჩავდექი ხელმძღვანელთა რიგებში. ვცდილობ შევასრულო ქალბა-

ტონ ნინოს მიერ ჩამოყალიბებული მცნებანი, მაგრამ ეს არც თუ ადვილი საქმეა. როგორც მამაკაცთა უმრავლესობა, ვცდილობ დავიცვა ის, რაც ჭეშმარიტებად მიმაჩნია, ხოლო ამის მისაღწევად კი ზოგჯერ ურთიერთობაში ტაქტის დაცვის აუცილებლობა გავიწყდება. ქალბატონ ნინოსთვის კი მთავარი ადამიანია, მისი ღირსებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება მაშინაც კი, როცა მოპაექრე სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე. ასეთ შემთხვევაშიც კი, ქალბატონი ნინოს აზრით აუცილებელია მისი წახალისება — მხარდაჭერა, ოღონდ საჭიროა თავის შეცდომაში გაარკვიო, და ბოლოს, ისევ მხარი დაუჭირო. ქალბატონი ნინო ყოველთვის ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. ოცდაცამეტი წლის განმავლობაში, რაც მე ქალბატონ ნინოს გვერდით ვიმყოფები და მისი ხელმძღვანელობით ვმუშაობ, არც ერთი ადამიანი არ ვიცი, ქალბატონ ნინოს დამოკიდებულებით გულნაკლული რომ იყოს.

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილზე, როგორც თვალსაჩინო ქართველ მეცნიერზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ სარბიელზე დამაშვრალ მოღვაწესა და უზადო პირადი თვისებებით უხვად შემკულ პიროვნებაზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება. ბედნიერია ის კოლექტივი, რომელსაც ჰყავს ისეთი კეთილი თვისებების მქონე ხელმძღვანელი, როგორიც ქალბატონი ნინოა. ჩვენი დირექტორის დაუღალავი ზრუნვისა და მეცადინეობის შედეგად მისი მოწაფეები გამოვიწრთეთ, დავვაჟკაცდით და ღრმად დაეეწაფეთ მეცნიერებას. მისგან ვისწავლეთ პრინციპულობა, სამეცნიერო ეთიკა, კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემაც.

ქალბატონი ნინო ზედმიწევნით გულისხმიერია არა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთა, არამედ ნებისმიერი მკვლევარის მიმართ, თუნდაც ის სხვა რესპუბლიკის წარმომადგენელი იყოს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყოველი დისერტაცია ან სხვა სამეცნიერო ნაშრომი ინსტიტუტის ფარგლებს არ გასცილდება ქალბატონ ნინოს ყურადღებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის გარეშე. მრავალ ნაშრომს გადაევლო ქალბატონ ნინოს მადლიანი შალაშინი, მაგრამ არავის ახსოვს შემთხვევა, რომ მას თანხმობა განეცხადებინოს შემოთავაზებულ თანაავტორობაზე.

მეცნიერი მკვლევარის დიდი ფაქტი ჩანს ქალბატონ ნინოს იმ თვისებაშიც, რომ იგი თავის შენიშვნებს ამა თუ იმ ნაშრომის კიდეზე ფანქრით აღნიშნავს, რათა ხარისხის მაძიებელსა თუ ნებისმიერ მკვლევარს თავისი მოსაზრება თავს არ მოახვიოს.

ჩვენს ინსტიტუტში ქალბატონ ნინოს კეთილი თვისებების ზეგავლენით დამკვიდრებული ზნეობრივი სიმტკიცისა და მეცნიერული სიფაქიზის ვითარებაში ახალგაზრდა მკვლევართ ყველა საშუალება აქვთ, სრულფასოვან მოქალაქეებად და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

**ნოდარ ჭიჭინაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

## დაჯილდოება

ქალთა პრობლემების გადაწყვეტის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ნინო ჯავახიშვილი,
მარიკა ბარათაშვილი,
ნინო ქვანია.

აღიძრა შუამდგომლობა საკავშირო ქალთა კომიტეტის წინაშე, მათი საკავშირო ქალთა კომიტეტის მედლით დაჯილდოების შესახებ.

## ნანატრი დილა

მე რომ ამდენ ხანს დილას ველოდი,
ის დილა უკვე, მართლა თენდება...
გუნდიც რომ გალობს
ტოროლებისა,
ღამეც უთუოდ გაცისფერდება...
ალბათ დაღანდეს,
რომ განთიადი
ლურჯა რაშებით
შემოჭენდება...
სითბოს რომ იგრძნობს სიკეთის თესლიც,
გაღვივდება და აღმოცენდება...
ჩამონგრეული რწმენის კედელიც
მტკიცე დუღაბით ამოშენდება.

**ანზორ ძოწენიძე**

# ზამთარი დაგვიდგა

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათო უიმედოდ შესცქეროდა ხის კენწეროებს, ქარი რომ უმოწყალოდ აქანავებდა. შესცქეროდა გამზირის მეორე მხარეს ალმართულ პომპეზურ შენობებს. რამდენჯერ მდგარა ასე — მეხსიერებაში ყველაფერი მტკიცედ ჩაებეჭდა, თითოეული სვეტი, თითოეული ქვა, ხაზი. მერე წარმოიდგინა რა აჩქარებით მიმოდიოდნენ აძაგძაგებული მგზავრები. ამის წარმოდგენაზე გააჟრჟოლა.

ოთახში ციოდა.

საათს დახედა — ორს ოცი აკლდა.

ნეტავ რად არ უთხრა, თორმეტისთვის გამოიარეო. რამდენი ხანია საქმე მოათავა, მომსვლელიც თითქოს არავინა ჩანს, ჰოდა, დოდოს მოსვლა რომ არა, შინ წავიდოდა. წავიდოდა, გათბებოდა, ცხელ ჩაის დალევდა, ან ყავას. ისე, აქაც კი შეიძლება ბუფეტში ჩავიდეს და ყავა ან კაკაო, თუნდაც ცხელი ჩაი დალიოს, მაგრამ ჭიქები გაახსენდა და ხელი ჩაიქნია. საოცარია, როგორც უნდა რეცხონ და ასუფთაონ, მაინც შერჩებათ რაღაც უსიამოვნო, უცხო ბაგეთა თავისებური, გულისამრევი სუნი.

დათომ იგრძნო, როგორ აჰყვა ფეხებს სიცივე, თითქოს თანდათან გულ-მუცელი გაეყინა. სულ ცოტა ხანში ტვინიც გამეყინება და მოვკვდებიო, გაიფიქრა და გაეცინა. მერე გაიარ-გამოიარა, მაგრამ დაღლას სიცივე არჩია.

რომ ვთქვათ, ძლიერი, დიდი გაქანების შემოქმედიაო, ტყუილი იქნება. მისი მოთხრობები უფრო კამერული ხასიათისაა, ფსიქოლოგიურ ასპექტში გადაწყვეტილი. არც განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა, თუმც დახვეწილი გემოვნება აქვს და სტილსაც არა უჭირს რა. თვითონაც ძალზე თავისებურია, უჩვეულო ბუნების — ყველასგან გამოირჩევა. ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც უნივერსიტეტი დაამთავრეს და ოცდაათჯერ არ შეხვედრიან ერთმანეთს. თუმცა, ამ ხანგრძლივი შუალედების მიუხედავად მათ შეხვედრებში უბრალო ნაცნობ ამხანაგურ დამოკიდებულებაზე უფრო მეტად სითბო და გულისხმიერება იგრძნობოდა. დოდო დიდ პატივს სცემდა, ნიჭიერად მიაჩნდა და სჯეროდა, ბევრის გაკეთება შეუძლიაო. გაეცინა დოდოსლა სჯერა ჩემი ნიჭისა და შესაძლებლობისო, თვითონ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ მაინცდამაინც მონდომება არ აწუხებდა და შესაძლებლობათა მეათედის რეალიზაცია მის ძალას აღემატებოდა.

რამდენი ხანია, დოდოს აღარაფერი გამოუქვეყნებია. ნეტავ კიდევ შესწევს წერის უნარი? საიდან, როგორ! ორი პატარა ბავშვი, სამსახური, ოჯახი, მის ასაკში ყველა ამ ტვირთთან ერთად წერაც? არა და იმ კვირასაც იყო, პიესა მინდა ჟურნალში მივიტანო, მხოლოდ ერთ რამეში მომეხმარე — ყურადღებით მომეპყრონ, პასუხი არ გამიჭიანურონ, მეტი არაფერი მინდაო მიეხმარა. გამოქვეყნების ამბავი მალე გადაწყდება — სწორედ გუშინ ჰკითხა რედაქტორს ჩემი მეგობრის ამბავი როგორ არისო. ჰოი, რა გავიყინე... რატომ არ ვუთხარი, თორმეტისთვის გამოევლო. ახლა მოვა. არა, ყბედი არ არის, მაგრამ დაიწყებს ალბათ უნივერსიტეტის წლების გახსენებას, ეს სადაო, ის სადაო, ვისა ხვდებიო. რაღაც მერევა, დოდომ უთავბოლო ლაპარაკი არ იცის. ბორისს კი გაიხსენებს, რად წავიდაო, რა კარგად თარგმნიდაო, კარგი ავტორიტეტი ჰქონდაო, კარგად იყო მოწყობილიო, და რაც მთავარია, თავისი საქმე უყვარდაო. ხომ არაფერი იციო. იცის, როგორ არ იცის! იცის, როგორ წვალობს, მთლად გაუბედურდა საცოდავი. მისი ინტელექტის პატრონი რაღაც-რაღაცეებს ეპოტინება. დაუმატებს, ალბათ, ამერიკაში



მხატვარი კარლო ფაჩულია

რატომ არ წავიდა, იქაური ებრაელები იქნებ დახმარებოდნენო. მერე, მერე, ალბათ, უსიტყვო კითხვით შეხედავს, შენც, ხომ არ აპირებ წასვლასო. რამდენჯერ შეუმჩნევია მსგავს შემთხვევაში მოსაუბრეთა სახეზე ასეთი უსიტყვო კითხვა.

კარი ფრთხილად გაიღო. დოდომ თავი შემოყო. ბოდიში მოუხადა, დამაგვიანდაო. ზრდილობის გულისთვის ჰკითხა დოდოს, ბავშვები როგორ გყავსო. ქალს სახე გაებადრა.

— ოჰ, დათო, გოგონებზე ნუ მეკითხები, თორემ ველარ გამაჩერებ. სხვების მეჯავრება, შვილებზე გაუთავებლად რომ ლაპარაკობენ და მე გავხდი ასეთი. დავიწყო?

გაიცინეს.

ბორისი მართლა ახსენა. ჰო, მართლა, ბორისთან ხომ კარგად იყო, დოდოც, დოდოს მეუღლეც, დოდოს მაზლიც. ის კი არ უკითხავს, ვისა ხვდებიო, არც სახეზე ეწერა, წასვლას ხომ არ აპირებო. მერე პირდაპირ უთხრა, ჩემი გაუბედურებული მოთხრობები ახლა სხვა ჟურნალში მიმატანინეო.

დათოს მართლა გაუკვირდა.

— ქმარი ხომ არ გიწერს პიესებსა და მოთხრობებს? სიმართლე თქვი, ღმერთმანი, არ მოგკლავ.

დოდოს გულს შემოეყარა.

— როგორ გეკადრება! ქმარი ჩემზე მეტადაა დასაქმებული. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები მიწერდნენ ხოლმე.

დათომ მხატვრული ჟურნალის რედაქტორს დაურეკა. ჯერ ფეხბურთზე ილაპარაკეს, მერე ვილაც-ვილაცეები გაიხსენეს, მერე შვილებზე წაიჭორავეს. ბოლოს უთხრა, დოდო თუ გახსოვსო. დოდო განცვიფრდა, საუბრის მსვლელობით მიხვდა, რედაქტორს მართლა ახსოვდა. ერთი თაობის კი იყვნენ, მაგრამ აგერ ათი წელიწადი იქნება, დოდო არსად გამოჩენილა. სად ეცალა, თავის პატარებს უვლიდა, — ჰო, ნუგზარ! ხომ გახსოვს, რა უცნაური ხასიათი აქვს, მითხრა, შენ შეახსენე, ცოცხალი რომ ვარო. მჯერა, მჯერა, არ უნდა დამერეკა, მაგრამ ქალების ამბავი არ იცი? როდის გამოგიაროს? ხვალ? კეთილი და პატიოსანი. აბა, კარგად იყავი, ჩემო ნუგზარ!

დოდოს მართლა მეტი არაფერი უნდოდა. მადლობა გადაუხადა, მოუბოდიშა, მეტს ველარ დავრჩები, პატარა მაიმუნი სკოლიდან გამოსაყვანი მყავსო და უზომოდ ბედნიერი, ფრენა-ფრენით წავიდა.

ნეტავი დოდოს! მუდმივი ახალგაზრდობისა თუ საუკეთესო განწყობისათვის მიუგნია. მასაც აქვს, ალბათ, თავისი პრობლემები და სადარდებელი. თუნდაც ის, რომ ცოლ-ქმარი და ორი შვილი მოცუცქნულ ოთახში მიყუჟულან. ახლა ნივთიერად როგორ უჭირთ! რაღაც კაპიკებს იღებენ. დოდო კი ყოველთვის კარგ გუნებაზეა, ყოველთვის რაღაცით აღტაცებული! ისევ ყველას გვაჯობა: ჩვენი შვილები თავისი გზით მიდიან, სიბერეში ფეხშედგმულნი მარტონი ვრჩებით, დოდოს კი ჩვენს ასაკში შვილებთან დაცილება სადარდებელი არა აქვს. მისი სადარდებელი პატარების წამოჩიტვაა. როცა ფეხზე დააყენებს, ასაკიც მოუწევს და სიმარტოვისა თუ დაცილების პრობლემა თავისით მოეხსნება. ჩემი გია და ჩემი ნიკა... რენატა, აჰ, რენატა! ამ სამი წლის წინ დამთავრდა დათოს სიცოცხლე — რენატას გაჰყვა ცხოვრების საყრდენი. აღარც დედა. მამა რომ გარდაიცვალა, სულ ბავშვი იყო. ნიკა და გია კი... თავის ცხოვრებას შეებნენ. ნიკა ბავშვთა საავადმყოფოში მუშაობს, მის ცოლს მშობლები ვერ ელევიან და ნიკაც მძახლებთან ცხოვრობს. გია მამის კვალს გაჰყვა — ჟურნალისტია, კარგი ჟურნალისტი, სულ მაღლა-მაღლა მიდის. ბევრს და კარგად წერს. დეიდის გარდაცვალების მერე მის სამოთახიან ბინაში გადასახლდა, საბჭოს ქუჩას დავით აღმაშენებლის გამზირი სჯობიაო. ერთიორჯერ ესტუმრა გიას. გაზეთის წალები დახვდა. უმრავლესობას კარგად იცნობდა, ჯერ კიდევ გიას უნივერსიტეტში სწავლის დროიდან. ორი გოგონაც იყო. ამბობენ, ძალზე ნიჭიერები არიანო. ოთახში სიგარეტის სქელი კვამლი ჩამოფენილიყო. მაგიდაზე ხილი, ნამცხვარი, ჩეხური ლუდი, მინერალური წყალი, ლიმონათი, თითო ბოთლი კონიაკი და ღვინოც იდგა. კი იცოდა, რომ არც ერთი მათგანი არ სვამდა. თითო ყლუპს თუ მოწრუპავდნენ მთელი საღამოს განმავლობაში. ჰოდა, ისხდნენ, კამათობდნენ. რასაკვირველია — მუსიკა, უფრო კლასიკა. ცხოვრებითაც კმაყოფილი იყვნენ და საქმიანობითაც. შენო — მათი ლიდერი და ღმერთი, რაღაცას ყვებოდა. მშვენიერი თხრობა იცოდა, მოსათხრობს რა გამოულევდა. გულღიად შეხვდნენ. ერთი კი შეჩერდნენ, მიიწ-მოიწიეს, მერე კვლავ თავისი გააჭენეს. დათოს წასვლა უფრო შეუმჩნეველი დარჩა, ვიდრე მოსვლა...

... ლიფტს აღარ დალოდებია, ფეხით დაეშვა. მძღოლი მანქანასთან დახვდა. ნაცნობს ელაპარაკებოდა.

მივა ახლა სახლში, ცხელ აბაზანას მიიღებს, ცხელ ჩაის დალევს, ან ყავას. მერე ტელეფონს გამორთავს, რომ გიას ნაცნობმა გოგონებმა გული არ გაუწყალონ. გია შინ თუ არ დახვდათ, ყოველი შემთხვევისთვის დათოსთან რეკავენ ხოლმე. ჰოდა ტელეფონს გამორთავს და თავის საყვარელ წიგნებს ჩაუჯდება. თუმცა, ბოლო ხანებში რატომღაც წიგნებსაც გულს ველარ უდებს.

გამოფენა გაიარეს. შეიძლება ნიკასთან შეუხვიოს და შვილიშვილი მოინახულოს, მაგრამ, გაახსენდა, როგორ უმძიმს ხოლმე იქიდან თავის ცივ, უკაცრიელ ბინაში მისვლა და გადაიფიქრა.

მანქანამ მეტროსთან აუხვია. აგერ სახლიც.

— ხვალ დილისთვის გამოიარე, თუ შეიძლება, — მძღოლს გაეცინა. რა ხანია ერთად მუშაობენ, ბრძანებას ვერ შეეჩვია.

— კარგად იყავი!

— კარგად ბრძანდებოდეთ!

არც ახლა დალოდებია ლიფტს. ფეხები უკან რჩებოდა, ისე ეზარებოდა გამოცარიელებულ ბინაში შესვლა. ნელა ადიოდა. აგერ, მეექვსე სართული. კართან შეჩერდა და ვიდრე გასაღებს ამოიღებდა, თითქოს თავბრუ დაეხვა — მის ყნოსვას შინაური საჭმლის, კარგი დიასახლისის მიერ დამზადებული საჭმლის სურნელება მისწვდა. კი ვერ გაერკვა, რის სურნელება იყო: თითქოს ვაზის ფოთლის ტოლმის, თუ ჩაქაფულის, შეიძლება ხარჩოსი, ან კატლეტის. ყველაფერი ერთმანეთში აერია. თანაც, რაც მთავარია, ეს სურნელება, ოჯახური სითბოს, ოჯახური მყუდროებისა და სიტკბოს სიმბოლო, მთელს სადარბაზოში თითქოს მისი ბინიდან ვრცელდებოდა, აი, სწორედ იმ კარიდან, რომლის გაღებასაც აპირებდა და რომელსაც აგერ უკვე რა ხანია, მის მეტი აღარავინ აღებდა.

მერე მელოდია შემოესმა. მელოდიაც თითქოს მისი ბინიდან ისმის. არა, არ შემცდარა, სწორედ მისი ბინიდან ისმის. ჯო დასენი, ნიკა გიჟდება, ესტრადის ღმერთიაო. ნუთუ მართლა მისი ბინიდან ისმის? მოგონებები აეშალა. რა მოხდა? გასაღები მოიმარჯვა და თვალებს არ დაუჯერა — კარში მეორე გასაღები დახვდა. სხვა გასაღები. გასაღებების ასხმულა. ერთხანს დაბნეული უყურებდა, მერე მოიფიქრა და გადაატრიალა. თუმც, რა გადატრიალება უნდა, რახან გარედანაა, მაშ, კარიც ღია უნდა იყოს.

სახელური ფრთხილად დასწია და კარი ნელა შეაღო — რადიოლა მთელი ხმით ჩაერთოთ.

— ნიკა, დათოს მიხედე, არაფერი მოიწიოს, — ეტყობა, ლოჯიაში იყო მისი რძალი.

ამ დროს შესასვლელთან პატარა დათომ მოირბინა და დიდი დათოს დანახავზე ჯერ შეჩერდა, მერე სიხარულისგან ხმა გაუწვრილდა.

— პაპა, პაპა, პაპა...

ნიკაც გამოვიდა, რძალიც. საერთო ხვევნა-კოცნა რომ მინელდა, პატარა დათომ დიდი დათო კაბინეტში გაიყვანა. მოგვიანებით შვილი და რძალი შემოვიდნენ, მათ პირდაპირ ღრმა სავარძელში მორჩილად დასხდნენ, პაპა და შვილიშვილი ტახტზე გორაობდნენ. პირველმა პატარა დათომ შეამჩნია მშობლები და წამოჯდა. დიდი დათოც გასწორდა და მათ შემყურეს უნებლიეთ გაეცინა.

— რა დააშავეთ?

— გადმოვედით, — თქვა ნიკამ წყნარად და სიგარეტს მოუკიდა. დიდ დათოს თვალებში შავი წერტილები აუთამაშდა. დაძაბული დუმილი რძალმა დაარღვია.

— რამდენი ხანია გადავწყვიტეთ. თავი ველარ მოვაბით. დღე-

იდან ორივენი შევბულებაში ვართ და გადმოვბარგდით კიდეც. — ხმა ჰქონდა სასიამოვნო. თვითონაც ძალზე სასიამოვნო იყო — გამხდარი, ნაზი, შავთვალა, გრძელი წამწამები, მოგრძო სახე, ხშირი ხვეული თმა, კოხტა ცხვირი. მშვენიერი შესახედი, მშვენიერი მეუღლე, მშვენიერი დედა. სადაა მეორე ეყოლებათ. ნიკა დარწმუნებულია გოგონა იქნებათ.

მერე შეკამათდნენ. უმცროსები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, ჩვენ აქ მოვეწყობითო, შენი კაბინეტი დიდ ოთახში გადავიტანოთო. უფროსი თაობის ერთადერთმა წარმომადგენელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, აქაც კარგად ვგრძნობ თავსო, დიდი ოთახი და სასტუმრო თქვენთვის დამითმიაო, მაინც იქ არასოდეს შევდიოდიო. დარწმუნებული იყო, პატარა დათო შემოუსახლდებოდა და მის სიმყუდროვესა თუ სიმარტოვეს ბოლო მოეღებოდა. მეტი რაღა უნდოდა ამ ქვეყნად! ოღონდაც მისი სუნთქვა გაეგო და მისი სამყაროს კარი შეეღო.

— ნაval, ჩაის გავაცხელებ, — თქვა მან. ცდილობდა, ხმა დაემორჩილებინა.

— ნიკა, შენც დალევ? — კითხა ცოლმა.

— სიამოვნებით!

— მაშ, ბრძანდებოდეთ, გამონაკლისის სახით დღეს აქ მოგართმევთ.

სამივემ მზერა გააყოლა.

— დღეს ,როგორ ცივა, — თქვა შუათანამ.

— ჰო, ძალიან! ზამთარი დაგვიდგა. — თქვა უფროსმა.

— მერე, თუ ზამთარია, თოვლი სადღაა? — იკითხა სულ პატარამ.

ახმათ დავითიშვილი

# სახელოვანი გზის დასაწყისი

1988 წლის 5 ივლისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მოხდა „პატარა სასწაული“ — საბალეტო დასში ახალჩარიცხულმა, 18 წლის ირმა ნიორაძემ მაღალ, ჭეშმარიტად პროფესიულ დონეზე შეასრულა ჟიზელის პარტია ადოლფ შარლ ადანის ამავე სახელწოდების უკვდავ ბალეტში, რომლის არსებობისა და ტრიუმფალური სვლის 150-ე წლისთავს ვიზეიმებთ ერთი წლის შემდეგ.

ამრიგად, ნორჩმა მოცეკვავემ შესძლო რომანტიკულ-ტრაგიკული პლანის ურთულესი პარტიის სიღრმეებში ჩაწვდომა, იმ პარტიის თავისებური ინტერპრეტაცია, რომელზეც წლობით ოცნებობენ მსოფლიო საბალეტო თეატრების სოლიდური სტაჟის მქონე პრიმა-ბალერინებიც.

მაგრამ, ერთი შეხედვით, ამ სენსაციურ დებიუტს თავისი ლოგიკური პროლოგი აქვს — თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში **რუდუნებით, ყოველდღიურ წვრთნა**ში გატარებული წლები, ქალბატონ სერაფიმა ვეკუას კლასში დაოსტატება და დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის მზრუნველი ხელი და ბრძნული დარიგებები.

მართალია, ირმა, როგორც დიდი მომავლის მქონე ბალერინა ფართო საზოგადოებისათვის ჟიზელის როლის შესრულებით გახდა ცნობილი, მაგრამ ბალეტის თაყვანისმცემელთა და ქომაგთათვის იგი უკვე აღარ იყო უცნობი ფენომენი, რაღაც შტეფან ცვაიგის „ერთი საღამოს გენიოსის“ მსგავსი პერსონაჟი.

ირმა ნიორაძის ტალანტის გახსნის, დასში მისი ჰარმონიულად შეყვანის, მსოფლიო კლასიკური ქორეოგრაფიის საშედევრო როლებისა და თანამედროვე საბალეტო ხელოვნების ნოვაციების ათვისების საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენი თეატრის მთავარ ბალეტმაისტერს გოგი ალექსიძეს.

გ. ალექსიძემ ჯერ კიდევ სასწავლებლის პირველ და მეორე კურსებზე სწავლისას მიაქცია ყურადღება ირმა ნიორაძეს და მას შემდეგ დაიწყო „მწვანე გზის“ გაკვალვა მისი მომავლისათვის; იშვიათია ის ფაქტი, რომ 18 წლის დამწყები ბალერინასათვის მიენდოთ ჟიზელის პარტიის შესრულება. უფრო იშვიათი კი ის არის, რომ ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლისათვის **ბალეტმაისტერს** შეეთავაზებინოს სოლო **საცეკვაო პარტიების შესრულე**ბა აკადემიური თეატრის სცენაზე, თანაც ისეთ ორიგინალურ დადგმებში, როგორებიც არის მოცარტის „ღამის პატარა სერენადასა“ და ვივალდის „წელიწადის დროთა“ ჰანგებზე დადგმული სპექტაკლები. ირმამ კი ამ სპექტაკლებში თავის პარტნიორთან ერთად ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა.

მას შემდეგ დაიწყო ირმას აღმასვლა კლასიკური და თანამედროვე საბალეტო რეპერტუარის სამყაროში. ჟიზელს მოჰყვა დეზდემონას როლი პერსელის „მავრის პავანაში“, სილფიდას სახე და სახელგანთქმული მეშვიდე ვალსის „შოპენიანაში“, წამყვანი სოლისტის უაღრესად ლირიკული როლი ბალანჩინის ჩაიკოვსკისეულ „სერენადაში“, დრიადების მბრძანებელი ქალბატონი „დონ კიხოტში“ და ბოლოს, ერთ-ერთი დიდი გედის სახე „გედის ტბაში“, რომლის საფუძველზეც ახლო მომავალში ნიორაძისეული ინტერპრეტაციით უნდა შეიქმნას ოდეტა-ოდილიას სახე, რაც ჩვენი აზრით მსოფლიოს კლასიკური ქორეოგრაფიის მეორე ურთულესი მწვერვალის დაძლევით დაგვირგვინდება.

კლასიკური მემკვიდრეობის წარმატებით დაუფლების მიუხედავად, ირმას, როგორც გოგი ალექსიძემ თქვა, იზიდავს დღემდე უცნობი რეპერტუარის ისეთი როლების შესრულება. **რომლებიც ადრე არავის არ შეუსრულებია.** ამის დასტურია ის, რომ ირმამ 1989 წელს ალექსიძისეული დადგმებით თავისი შემოქმედებითი პალიტრა გაამდიდრა ახალი, მანამდე მისთვის უცნობი ფერებით. საქმე ეხება ვ. კახიძის მუსიკის საფუძველზე შექმნილ ახალ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რთულ ბალეტს „ამორძალები“ და საკონცერტო დადგმისათვის განკუთვნილ თავისებურ საბალეტო „ტრიპტიქს“ იან სიბელიუსის, ა. შნიტკეს და გია ყანჩელის მუსიკაზე.

ირმა ნიორაძის შესრულებით წარმოდგენილმა „ონექსიონმა“, „ტურნელმა გედმა“ და ლერმონტოვისეულმა „დემონის“ თამარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს საბალეტო ხელოვნების ისეთ გურმანებზე, როგორებიც ფრანგები არიან. ამ „ტრიპტიქით“ გააცნო თავისი თავი ირმამ ევროპას 1989 წლის ივლისში, როდესაც ქართულმა საბალეტო „დეხანტმა“ ტრიუმფული პირველი ვიზიტი განახორციელა სამხრეთ საფრანგეთის კოპწია ქალაქ მონპელიეში მოწყობილ მე-9 საერთაშორისო ფესტივალის დროს.

ფრანგმა კრიტიკოსებმა 19 წლის ირმა თავიანთი ქვეყნის ბალეტის პრიმა-ბალერინას სილვია გიომს შეადარეს, რაც თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ „ფანჯარა“ თანამედროვე მსოფლიოსა და ევროპაში უკვე გაჭრა თბილისურმა ბალეტმა.

სულ ცოტა ხნის უკან ირმამ თავის გამოცდილ პარტნიორთან, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ვლადიმერ ჯულუხაძესთან ერთად, თვალსაჩინო უპირატესობა მოიპოვა მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან წარგზავნილ ახალგაზრდა სოლისტთა შესარჩევ კონკურსში. ეს მას უფლებას აძლევს წარსდგეს ამერიკის შეერთებული შტატების მაყურებელთა წინაშე ქალაქ ჯექსონში, იმ საერთაშორისო კონკურსზე, სადაც რამდენიმე წლის წინათ ჩვენმა სახელგანთქმულმა თანამემამულემ ნინო ანანიაშვილმა ანდრის ლიეპასთან ერთად ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ვლადიმერ ივანოვი



# ქალიშვილი ალვანიდან

**სასიხარულო ცნობა მიიღეს საწარმოო გაერთიანება „თბილრძეში". იმერული ყველის საამქროს მუშა, ყველის დამფასოებელი ლეილა ბახტურიძე სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.**

**ამონაწერი ლეილა ბახტურიძის პირადი საქმიდან: სკკპ წევრია 1980 წლიდან. არის პარტიის საქარხნო რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრი, მე-19 და მე-20 მოწვევის რაისაბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი. დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით.**

შინ თუ გარეთ ლელას ეძახიან. მართლაც უხდება ეს სახელი ალვანელ გოგონას. სიკეთე გამოსჭვივის მისი თვალებიდან, სიკეთე და სითბო — დღეს ასე რომ ვართ მოკლებულნი ერთურთისაგან. უპრეტენზიოდ, უხმაუროდ, კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს. ალბათ, სწორედ ამ თვისებების გამო გამოარჩიეს ექვსასკაციან კოლექტივში.

— დავიბადე ქვემო ალვანში. სკოლაც იქ დავამთავრე. მშობლები იქ საქმიანობენ. მყავს ორი და — ნათელა და ნინო, ორი ძმა — დათო და ივანე.

— ისინი სად ცხოვრობენ?

— ოთხივე სოფელში დარჩა.

— თბილისში რომ გადაწყვიტე წამოსვლა, მშობლებმა წინააღმდეგობა ხომ არ გაგიწიეს?

— მთის ხალხი ცოტა სიტყვაძუნწები ვართ. გულში ვინ იცის რა უდუღდათ, მაგრამ ჩემთვის არაფერი უგრძნობინებიათ.

ლელას კი არ ეთქმის სიტყვაძუნწი. ხალისით ლაპარაკობს საწარმოზე, თანამშრომლებზე. თუმცა საკუთარ თავზე და საქმიანობაზე საუბარს აშკარად გაურბის.

— ლელა, რამდენი წლის იყავი, გაერთიანებაში რომ დაიწყე მუშაობა?

— ოცდასამი წლის.

— ოცდასამი წელი ის ასაკია, როცა ადამიანი ლამაზ ფერებში უყურებს სამყაროს, ძიების პროცესშია, ცდილობს მიაგნოს საკუთარ ადგილს ცხოვრებაში, აკეთოს საყვარელი საქმე, ამავე დროს, მუდამ თან სდევს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. დავიჯერო, შენი მოწოდება იყო „თბილრძეში" მუშაობა?

— ეგ რომ ვთქვა, აშკარა სიცრუე იქნება. ჩემი ნათესავი მუშაობს გაერთიანებაში და მისი რჩევით მივედი საწარმოში.

— როგორც ვიცი, მანამდე გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრე, არასოდეს გიფიქრია ძველ პროფესიას დაბრუნებოდი?

— ძალიან შევეჩვიე აქაურობას. წასვლაზე არასოდეს არ მიფიქრია. საოცრად კარგი ადამიანები მუშაობენ ჩემს გვერდით. ისეთი მეგობრული კოლექტივია, თუ ზედმეტობაში არ ჩამომართმევთ. მართლა გამიჭირდება მათ გარეშე.

არც ლელაზე იშურებენ თბილ სიტყვებს ნაცნობ-მეგობრები. გაერთიანებაში სხვაც ბევრია მოწინავე, შრომაში წარჩინებული. ამიტომ ორმაგად სასიხარულოა რჩეულთა შორის გამორჩევა.

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. ვერც იმას ვიტყვი, სხვაზე უკეთესად ვმუშაობ მეთქი. ბრიგადაში ჩემს გარდა რვა მუშაა. ერთმანეთზე უკეთესები არიან ციცო რამინაშვილი, ვალია ბოროდინა, თალიკო გაგლოშვილი და სხვები. საქართველოს აგრომრეწვში გაერთიანებიდან მთელი ბრიგადის მონაცემები გაგზავნეს და რატომღაც მე წარმადგინეს სახელმწიფო პრემიაზე.

—საწარმოში როგორი სამუშაო პირობებია?

— გაერთიანებაში ჩემი მოსვლის მერე ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ადრე ძირითადი სამუშაო ხელით სრულდებოდა, შესაბამისად ფიზიკური დატვირთვაც უფრო დიდი იყო. ხშირად გვიანობამდე ვმუშაობდით. ამჟამად საწარმო მთლიანად მექანიზებულია. ამოქმედდა ახალი საზღვარგარეთული დანადგარები, დამონტაჟებულია პროგრესული ტექნოლოგიური ხაზები, რის გამოც გაცილებით შემცირდა ხელით მუშაობის წილი.

— ცოტა ხნის წინათ „თბილრძეს" პროდუქციის უხარისხობის გამო საყვედურობდნენ...

— დიახ. მაგრამ საყვედურებიცა და უხარისხობაც წარსულს ჩაბარდა. მომხმარებელი ვერც რძის ნაწარმის ხარისხს დაგვიწუნებს და ვერც პროდუქციის სიმცირეში დაგვდებს ბრალს. გაერთიანების მომავალი კი უფრო ნათელ ფერებში მესახება, რაც მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ გახლავთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს საწარმოს კოლექტივის ენთუზიაზმი და შრომისმოყვარეობა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ლელას, ალვანელ ქალიშვილს ახლო მომავალში ღირსეული ქართული ოჯახის შექმნა, ბედნიერი დედობა ვუსურვოთ, რაც ყოველი ქალის უპირველესი მოვალეობაა.

მარინა ნაჭყაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა, მოდა

პოლონეთი. ქალაქ ლოძში მოეწყო ახალი სეზონის ქალის ტანსაცმლის ჩვენება, იგი წარმოადგინეს პოლონელმა მემოდელეებმა.



სურათზე: ცნობილი პოლონელი მემოდელის ანა ბატორის მიერ შექმნილი ქალის ტანსაცმლის დემონსტრაცია.

# მიმზიდველი, ელეგანტური

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. იმისათვის, რომ ყოველთვის ელეგანტურად გამოიყურებოდეთ, არ კმარა მისდიოთ ტანსაცმლის მოდას. მუდმივი ყურადღება უნდა მიაქციოთ თმის ვარცხნილობას. ესპანური სტილის ამ რომანტიკულ მოდელს გვთავაზობს ჰამბურგელ ქალთა პარიკმახერი მარლის მიულერი. „მარტო თმის ლამაზად დაწყობაზე კი არ იზრუნოთ, არამედ იფიქრეთ ლამაზ სამკაულზეც. მაღალი სავარცხელი ქალის სახეს უფრო მეტ მომხიბვლელობას ანიჭებს“, — გვირჩევს მიულერი.



სურათზე: მოდური ვარცხნილობა.

# ქართველ მქარგავ ქალთა ნამუშევრების პირველი რესპუბლიკური გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მხატვრის სახლში მოეწყო მქარგავ ქალთა საშობაო გამოფენა-გაყიდვა. მისი მოწყობა ითავა და საკუთარი ნამუშევრებიც წარმოადგინა მხატვარმა დოდო ნემსაძე-ბარამიძემ; წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ყურადღებას იქცევდა ისტორიკოს ლალი ბახტაძის, ფილოლოგ ელენე გოგოლაშვილის, ინგლისური ენის სპეციალისტის ქეთევან დაუშვილის, ინჟინერ რუსუდან დვალის, ჟურნალისტ ლალი ნადირაშვილის, ინჟინერ ნაგარი ნიჟარაძის, ინჟინერ ნანა ფეიქრიშვილის, დიასახლის ნანა ფანჩვიძის, ქარგულობის რესტავრატორის ეკატერინე ჯაშიაშვილის, ხელოვნებათმცოდნე მანანა ჭელიძისა და მეცხრეკლასელი მოსწავლის ეკა ტყეშელაშვილის ნამუშევრები.

მქარგავ ქალთა მიზანია ქართული ქარგულობის ფენომენის აღდგენა არა მარტო დედაქალაქში, არამედ სრულიად საქართველოში. მათ სურთ გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციაში. გამოფენამ ამ მიზანს ნაწილობრივ მიაღწია. მოზღვავდნენ ქარგულობით დაინტერესებული გოგონები და მანდილოსნები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს იმუშაონ ქალბატონი დოდოს ქარგვის უსასყიდლოდ შემსწავლელ სალონში.

რადგან ქარგულობის უმთავრესი თემა რელიგიური ხასიათისა იყო, ყველა ნამუშევარი აკურთხა ქაშუეთის მღვდელმა — მამა ღვთისავარმა.

ნუნუკა თოიძე



ორნამენტი ხახულის კარედიდან
ნინო რუხაძე



დავით აღმაშენებე
ელენე გოგოლა



წმინდა გიორგი.
ლალი ნადირაშვილი



თამარის ჯვარი. დოდო ნემსაძე-ბარამიძე



მირქმა. ნიგარი ნიჟარაძე



ყინცვისის ანგელოზი. ლალი ბახტაძე





ღ აკრილი ნანა ფეიქრიშვილი



ქეთევან დაუშვილი

შარშან, 1989 წელს ჰონკონგში გაიმართა სილამაზის მსოფლიო კონკურსი „მის-89“. ამ კონკურსში გაიმარჯვა ოცდაოთხი წლის პოლონელმა ქალიშვილმა ანეტა კრეგლიცკამ.



სურათზე: ანეტა კრეგლიცკა.

# უველაზე გრძელი ფრჩხილები

ამერიკის შეერთებული შტატე-ბი. კომპტონელი (კალიფორნიის შტატი) ლუიზა ხოლისი ამტკიცებს, რომ მას ქვეყანაში ყველაზე გრძელი ფრჩხილები აქვს. ძნელია ამას არ დაეთანხმო, თუ დახედავთ ამ სურათს. მისი ყველაზე გრძელი ფრჩხილი 45 სანტიმეტრს უდრის, დანარჩენი კი — 15 სანტიმეტრს. „ადამიანები არ დამიმახსოვრებენ, მაგრამ ილაპარაკებენ ჩემს ფრჩხილებზე“— ასე ამბობს 50 წელს მიტანებული ლუიზა, რომელმაც თავისი აგრერიგად „ცნობილი“ ფრჩხილების გაზრდას რვა წელიწადი მოანდომა. ფრჩხილების მოვლისას იგი ყოველდღიურად ორნახევარ ფლაკონ ლაქს ხარჯავს. ჟურნალისტების შეკითხვაზე, რისთვის გაიზარდა ასეთი გრძელი ფრჩხილები, ლუიზამ განაცხადა:

„ეს საშუალებაა მთელს მსოფლიოს უჩვენო საკუთარი ინდივიდუალობა“.



სურათზე: ლუიზა ხოლისი.



შუქი, რომელიც ხშირად გათენებამდე არ ქრებოდა ხოლმე, მომავალი პროფესორის, ახალგაზრდა თამარ კუკავას ოთახში ენთო.

— მისი შიშით, ძილიც კი უკან იხევსო! — ამბობდა ხუმრობით თამარის მამა. ცხოვრობდა თამარი 18 მეტრიან ოთახში მშობლებთან და დეიდასთან ერთად, სადაც წიგნების დასაწყობი ადგილიც არ იყო. წიგნების რაოდენობა კი მათ ოჯახში დღითიდღე იზრდებოდა.

საზოგადოებრივ მუშაობაში (ის ერთხანად საქართველოს ალკკ-ის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელიც გახლდათ). მისი ფოტო ხშირად ამშვენებდა უნივერსიტეტის საპატიო დაფას.

ფილოსოფიის ისტორიით დაინტერესებულმა თამარმა (რომლის კურსიც დიდ ერუდიტს, ლექციების კითხვის ჩინებულ ოსტატს აკად. კ. ბაქრაძეს მიჰყავდა), სწრაფად შეიცვალა თავისი ორიენტაცია და მთე-

სოფიის ძირეული პრობლემების კვლევას.

1948 წელს, როცა თამარი საკანდიდატო დისერტაციას იცავდა თემაზე: — „პლატონის მოძღვრება იდეებზე და მისი კრიტიკა არისტოტელეს მიერ". — სააქტო დარბაზი გადატვირთული იყო პროფესორ-მასწავლებლებით და სტუდენტი ახალგაზრდებით. ახალგაზრდა მეცნიერმა ქალმა დაიპყრო და მისდამი განაწყო აუდიტორია მკვეთრი კრიტიკული ალღოთი და ძველი ბერძნული ენის საფუძვლიანი ცოდნით. იმდროინდელი პრესა ფართოდ გამოეხმაურა პირველი ქართველი ფილოსოფოსი ქალის გამოჩენას სამეცნიერო ასპარეზზე.

სულ მალე კი თამარ კუკავა ამთავრებს თავის სადოქტორო დისერტაციას: — „შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ კლასიკურ ფილოსოფიაში".

თამარი ეკუთვნის იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელნიც დიდ ანგარიშს უწევენ სხვათა ნააზრევს და ნაღვაწს. იგი აანალიზებს, ითვისებს და შემდეგ კრიტიკული გადამუშავებით ქმნის საკუთარ, უფრო პროგრესულ, მეცნიერულად დამაჯერებელ კონცეფციას; თამარის სტიქია იყო ახალი, სრულიად გაუტეხელი ყამირის გაკაფვა. ამაშია მისი, როგორც მეცნიერის, სიძლიერე და თავისებურებაც.

ცოტა არ გაუკეთებია პროფ. თამარ კუკავას ახალგაზრდებისათვის... მან ორი შესანიშნავი სახელმძღვანელო მიუძღვნა მათ ქართული ფი-

# პირველი ქართველი ფილოსოფოსი ქალი

დიახ, მუშაობა ღამე უყვარდა თამარს. მაშინ ეძლეოდა მას საშუალება მარტო დარჩენილიყო თავის საყვარელ წიგნებთან.

წარჩინების ატესტატით დაამთავრა თამარ კუკავამ თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო მე-18 საშუალო სკოლა.

და ასე... უგამოცდოდ ჩაირიცხა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

შემდგომ აკადემიურად წარჩინებული სტუდენტი, ერთი პირველთაგანი იყო როგორც სწავლაში, ისე

ლი გატაცებით ამ საგნის შესწავლას დაეწაფა, მაგრამ მალე იგრძნო ბერძნული ენის სუსტი ცოდნა რომ დააბრკოლებდა და თავისი გულისტკივილი ბერძნული ენის საუკეთესო მცოდნეს, დიდ მეცნიერს, აკად. ს. ყაუხჩიშვილს გაანდო. მან კი ნიჭიერ და მონდომებულ სტუდენტს თავის მხრივ დაუყვედრებელი ამაგი დასდო.

თამარ კუკავამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი შრომის უნარი, მოკლე ხანში დაეუფლა ძველ ბერძნულ ენას და შემდგომ თავისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები უძღვნა ბერძნული ფილო-

ლოსოფიის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, ბევრი რამ გააკეთა აგრეთვე ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაშიც.

— მე ასე ვფიქრობ, — ბრძანებს ქალბატონი თამარი, — რომ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძეგლები, ისეა ჩალაგებული არქივებში, როგორც მადნები, რომელნიც ელიან მკვლევარს, რომ დროზე გამოტანილ იქნენ დღის სინათლეზე.

თამარ კუკავამ ბევრი იმუშავა დიდი ქართველი მოაზროვნის სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრეობის შესასწავლად. გამოაქვეყნა მო-

ნოგრაფია: „ს. დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა“, მან პირველმა მიაკვლია ხელმოუწერელ, უტიტულო, დაუმთავრებელ ხელნაწერს და დაადგინა, რომ ეს არის ს. დოდაშვილის „რიტორიკა“, რითაც ქართველ საზოგადოებას გააცნო დოდაშვილი, როგორც არა მარტო „ლოგიკის“ ავტორი, არამედ როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსიც. პირველმა თამარ კუკავამ გამოაქვეყნა ს. დოდაშვილის „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და ამით გამოავლინა იგი როგორც „ლოგიკის“ პრაქტიკული გამოყენების ფუძემდებელი

თ. კუკავამ საფუძვლიანად შეისწავლა იოანე პეტრიწის ფილოსოფია, გამოავლინა და გამოაქვეყნა მისი უცნობი პოეტური ნაწარმოები: „წიგნი ათ ორ თთვისა“.

თამარი საინტერესო შედეგამდე მიიყვანა სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონის შესწავლამ. მისი დასკვნით, საბა თავის ლექსიკონის ფილოსოფიურ ნაწილში იყენებდა და შემოქმედებითად ამუშავებდა როგორც პეტრიწის, ისე ეფრემ მცირეს ნააზრევს.

პროფ. თამარ კუკავა ავტორია ასამდე მეცნიერული შრომისა. მათ შორის თექვსმეტი მონოგრაფიული წიგნისა. აი, ახლახანს გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი: „ეფრემ მცირეს იამბიკოები“.

თამარ კუკავა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ და რუსულ ჯგუფებში კითხულობს ლექციების კურსს ისტორიის ზოგად თეორიაში, აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო მეცნიერული ფორუმების მუშაობაში.

**ნინო ჩიხლაძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# უკრაინელი რძალი



სანდომიანი სახის ქალი სამზარეულოში ტრიალებს, მამამთილს თავის საყვარელ უკრაინულ ბორშჩს უმზადებს, თან უკრაინულად ღიღინებს. კარგ გუნებაზეა, არცერთი მძიმე ავადმყოფი არა ჰყავს. მოგონებებიც მოეძალა, თავის მეუღლესთან, ბიძინა თურქაძესთან პირველი შეხვედრა მოაგონდა ვოროშილოვგრადის სამედიცინო ინსტიტუტში. დაიბადა სიყვარული, და უკრაინელი გოგონა ქართველების რძალი გახდა...

როგორ წუხდა ნინას დედამთილი, რძალს რა ენაზე ველაპარაკოო, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა. ნინამ პირველი ქართული სიტყვები წარმოთქვა: „დედა, სად არის ცოცხი?“ — ახლა ტკბილად ეღიმება ამის გახსენებაზე. მაშინ კი ღელავდა, არაფერი შემეშალოსო.

...ნინა პარაშჩენკო — ზესტაფონელების საყვარელი ექიმი, სამი შვილის დედაა. უფროსი ქალიშვილი უკვე ექიმია, შუათანაც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, ნაბოლარა ვაჟი კი ჯარში მსახურობს.

ამ რამდენიმე ხნის წინ ექიმი ნინა პარაშჩენკო-თურქაძე ზესტაფონის რაიონის წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვის ჯარის ნაწილებს ესტუმრა, კე-

თილი სიტყვა და გულის სითბო არ დაიშურა მათთვის, ქართველ ბიჭებს კი სთხოვა, ხშირად მიეწერათ დედებისათვის. ნინას რჩევის შერე ერთ ჯარისკაცს ერთბაშად ოთხი წერილი მიუწერია დედისათვის.

ნინა პარაშენკო-თურქაძე ნამდვილად კარგი ენდოკრინოლოგია. უყვართ პაციენტებს.. შესანიშნავი ოჯახის დედაა, მზრუნველი მეუღლე და ქართველების ღირსეული რძალი გახლავთ, — ასე ახასიათებს მას ზესტაფონის რაიონის მთავარი ექიმი თამაზ ბეჟუაშვილი. მან ერთი მრავლისმეტყველი ფაქტიც მიამბო: — როდესაც პოლიკლინიკის ენდოკრინოლოგი შვებულებაში გავიდა, ხალხის მოთხოვნით ნინას სთხოვეს ამ მოვალეობის შეთავსება, — ესეც მათი სიყვარულის დასტურია.

ამ სამიოდე წლის წინ ექიმის მადლიერმა პაციენტებმა წერილი გამოგზავნეს რედაქციაში და გვთხოვეს კეთილი სიტყვით მოგვეხსენებინა ნინა თურქაძის დამსახურება. წერილს სხვადასხვა პროფესიის ჩვიდმეტი ადამიანი აწერდა ხელს. ამის თაობაზე ქალბატონმა ნინამ არაფერი იცოდა ახლა, როდესაც ვეწვიეთ და ის წერილიც ვაჩვენეთ, ძალზე გაოცდა, განა ასეთს რას ვაკეთებ ადამიანები მიყვარს და ჩემი პროფესიით, სიყვარულით და ერთგულებით ვემსახურებიო.

ქალბატონ ნინას ხშირად ესიზმრება თავისი მშობლიური უკრაინა, მაგრამ საქართველოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, რადგან ქართველია მისი მეუღლე — ზესტაფონის რაიონული საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების გამგე ბიძინა თურქაძე და ქართველები არიან მისი შვილები, რაც მას ძალზე ეამაყება.

— ქართველი ქალები ქმარ-შვილის ერთგულებითა და თავდადებით გამოირჩევიან, ქართველი კაცისთვისაც ოჯახი წმიდათაწმიდაა და სამშობლო — უმთავრესი, ეს შესაშური თვისებებია, მხოლოდ ეგ არის, რომ ქართველი კაცები ნაკლებად ეხმარებიან ქალებს. ჩვენთან, უკრაინაში კი ყველა თანაბრად ინაწილებს ოჯახის ტვირთს.

...დიახ, სხვაგან ცხოვრება ვერც წარმომიდგენია, აქ ჩემს გვერდით ქართველებთან ერთად ცხოვრობენ უკრაინელებიც, რუსებიც. ქართველს არავისთვის დაუკლია გულის სითბო და უმადური უნდა იყოს ადამიანი, ეს რომ ვერ დაინახოს. დღეს ვინც ცდილობს ერთა შორის შუღლის გაღვივებას, **ის დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს!**

ასე ფიქრობს ქართველების რძალი, ზესტაფონელი ექიმი ნინა პარაშენკო-თურქაძე. ასე ფიქრობენ მისი მეზობლებიც.

ირინე მიქაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

# განუკითხაობის ერთი ფურცელი

ელენე თარხნიშვილი, პედაგოგიურ განათლებას ნაზიარები, ბიძის, სამხედრო გენერლის გიორგი თარხნიშვილის ოჯახში აღზრდილი, პეტერბურგიდან შინ ბრუნდებოდა. მეოცნებე ქალიშვილს ქართველი ერისადმი სამსახურის ვარდის ფერებით ესახებოდა. ახალგაზრდის შემართება მძლავრობდა...

ელენე გორში მოღვაწეობას შეუდგა. ეწეოდა საზოგადოებრივ, საქველმოქმედო საქმიანობას. გორში, კასპსა და ხაშურში გახსნა ქალთა კერძო პროფესიული სკოლები, სადაც ჭრა-კერვას, ქარგვას, დაზგურ ქსოვას უფასოდ ასწავლიდნენ გოგონებს. ამ სკოლების მოსწავლეები პროფესიასაც ეუფლებოდნენ და დაწყებით განათლებასაც იღებდნენ. გორის სასწავლებელი მაშინ პანსიონატის ტიპისა იყო. ბავშვები სასწავლებელში ცხოვრობდნენ, ჩაცმა-დახურვა, კვება უფასო ჰქონდათ.

გორის პროფესიულ სკოლაში მუშაობდნენ პედაგოგები ოლღა ნარიაშვილი, ეკატერინე საძაგლიშვილი, გიორგი ბეთლემაძე, ლენა არჩვაძე და სხვები.

ამ სკოლაში აღიზარდნენ მარიამ ჯავრიშვილი, ელენე ფილიშვილი, ეკატერინე საძაგლიშვილი, ანასტასია ყიფიანი და სხვები. მარიამ მჭედლიშვილმა, რომელიც გამოირჩეოდა სწავლის დიდი უნარით, შემდგომში პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა.

**იმართებოდა მოსწავლეთა** ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დაგროვილი თანხა პროფესიული სკოლების აღსაზრდელებს ხმარდებოდა, რომელთა კონტინგენტი ძირითადად ობოლი, უპატრონო ბავშვებისაგან შედგებოდა. გორის მუზეუმში ახლაც ინახება მაშინდელ პროფესიულ სასწავლებელში შეკერილი ძვირფასი ფარდა.

ელენე თარხნიშვილის ცხოვრება განუწყვეტელი შემოქმედებითი ძიებების, თავდადებული შრომის, საოცარი მიზანსწრაფვის მკაფიო მაგალითი იყო. სათნო და კეთილი ადამიანი, თავად ცალად დარჩენილი, ახალგაზრდების აღზრდას ანდომებდა ჯანსა და ენერგიას. უპატრონო ბიჭი აჭარელი ჯელილ დიასამიძე საკუთარ ჭერქვეშ აღზარდა. ჯელილმა გორის ვაჟთა გიმნაზია წარჩინებით დაასრულა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ისწავლა. უცხო ენები (ფრანგული და გერმანული) შეისწავლა. დედობილი ჯელილს გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად ამზადებდა.

უეცრად ცა ჩამობნელდა. 1924 წელი. დაიწყო უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება, დასჯა. დააპატიმრეს ელენე თარხნიშვილის ძმა დიმიტრი, სიძე რევაზ ერისთავი, დები ნინო და ეკატერინე... უმისამართოდ მიდიოდა დაუსრულებელი ნაკადი.

ღამით საშინელი ხმაური ატყდა. ექვსნი მოვიდნენ, დაუპატიჟებელი სტუმრები შეიარაღებული ბანდიტები. წინ გაგვიძღვიო და გაქვავებულმა დეიდა ელენემ სახლის კედლებს უკანასკნელად მოავლო თვალი, მივარდა ჯელილს. თოფის კონდახებით დედობილს აღზრდილი ძლივს დააშორეს და გზას გაუყენეს.

დეიდა ელენე დახვრიტეს.

ჯელილმა ვის არ მიმართა და ბოლოს, იყო პასუხი: ჩვენო ჯელილ, უნდა გვაპატიო, შეგვეშალაო.

განუკითხაობა სუფევდა ქვეყანად!

ანა თარხნიშვილი

# გულის ჩინით



ჟურნალ „სინათლის“ დავალებით ბინაზე ვეწვიე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის სპეციალისტს ქალბატონ ლილის... მკითხველთა უმრავლესობას ალბათ, არც ეცოდინება, რომ ახალგაზრდების სწავლა-აღზრდას, მათს პროფესიულ დაოსტატებას ემსახურება ჩვენი საზოგადოების წევრი, პირველი ჯგუფის უსინათლო ქალი ლილი გოქსაძე, რაც იმის დასტურია, რომ უსინათლო ადამიანს თამამად შეუძლია გავიდეს ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე, თუ საამისო ნიჭი, უნარი და გულის ჩინი აღმოაჩნდება, რასაც უსათუოდ რწმენა და ნებისყოფაც უნდა ახლდეს.

ქალბატონ ლილის მკაცრად გაწყობილ სამუშაო ოთახში არაფერია ზედმეტი. აქ ყოველ ნივთს თავისი დანიშნულება აქვს. მხოლოდ ბევრი წიგნია, ძალიან ბევრი და კიდევ უფრო მეტი ამ მაღალი, სიფრიფანა, ნაზი პირისახისა და სასიამოვნო ხმის მქონე ქალბატონის სულიდან გამონაშუქი სითბო და სინათლე.

საოცარი უშუალობით აეწყო ჩვენი საუბარი.

ბავშვობიდანვე ჰკლებია თვალის ჩინი, მაგრამ სრულიადაც არ გასჭირვებია წარმატებით დაემთავრებინა საშუალო (მე-6-ე ქალთა) სკოლა... შემდეგ მისთვის დაუვიწყარი სტუდენტობის წლები... იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისური ენის სპეციალობით. აქაც თავისი საოცარი მონდომებისა და ენერგიის წყალობით თანატოლებს ჩამორჩებოდა კი არა „ჯაბნიდა“ კიდეც და ის დღეც დადგა, როცა უკვე დაემშვიდობა სტუდენტობას. შემდეგ ქალბატონი ლილი ინგლისურ ენას ასწავლიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის პირველ და ორმოცდამეთხუთმეტე საშუალო სკოლებში, მაგრამ უკმარისობის გრძნობა აწუხებდა, მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, კიდევ მეტის შეძენის სურვილი არ ასვენებდა და აი, 1959 წელს ლილი გოქსაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ინგლისური ენის კათედრაზე ტოვებენ სამუშაოდ. ამ დროისათვის თემასაც ამუშავებს „სასაუბრო ინგლისური ენის ერთ-ერთი ასპექტი“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1964 წელს და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ქალბატონი ლილი ძალზე მადლიერია ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ახვლედიანისა, რომელმაც მეცნიერული ძიების დიდ გზაზე გაიყვანა.

ქალბატონ ლილის გამოქვეყნებული აქვს 24 ნაშრომი. როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო პერიოდიკის ფურცლებზე. თანაავტორია ოთხი სახელმძღვანელოსი სტუდენტებისათვის — ერთი ენათმეცნიერების საკითხებზე, სამი კი თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის შესახებ. აღნიშნული გამოცემები ძირითადად სასაუბროებს წარმოადგენს და, როგორც შევიტყე, მათ ბადალი არ მოეძებნება საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს ყველაფერი რამ შეგაძლებინათ, როგორ მოახერხეთ-მეთქი, ვკითხე გაოცებულმა.

საუბარი ზარის ხმამ შეგვაწყვეტინა. დიასახლისმა ბოდიში მოიხადა და კარის გასაღებად წავიდა. ცოტა ხანში სტუმარს შემოუძღვა და აი, პასუხი თქვენს შეკითხვაზეო, ღიმილით მითხრა. სტუმარი, მისი უერთგულესი მეგობარი, დოცენტი ნანა მამაცაშვილი აღმოჩნდა. ჩემი კოლეგების — ქალბატონი ნანას, მანანა გიგინეიშვილისა და რუსუდან ბოლქვაძის თანადგომით არის, თუკი რამეს ვაკეთებო, — დააზუსტა ნათქვამი. გული მადლიერებით ამევსო ამ კეთილი ადამიანების მიმართ და ჩემი მეგობრები გამახსენდა, რომლებიც არც სტუდენტობის წლებში დამკლებია და არც შემდეგ, [illegible] დღევს ქვეყანაზე კეთილ კაცს [illegible]

ქალბატონ ნანას შემომატებამ საუბარი [illegible] ქალბატონ ლილის [illegible] და საკუთარი [illegible] ერთ [illegible] ენაწყლიანობდა. მან გვითხრა, თუ როგორ ეხმარება ქალბატონი ლილი ინგლისელ და ამერიკელ ქართველოლოგებს ქართული კულტურის გაცნობასა და ქართული ენის დაუფლებაში. მას, თურმე, ასევე დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენი თანამემამულის, ლონდონელი თამარ დრაგაძის მიმართ, რომელიც პირველად ამ ოციოდე წლის წინათ ჩამოვიდა საქართველოში. ქალბატონი ლილი ხშირად მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. სამი წელი ფაკულტეტის სამეცნიერო" საბჭოს ედგა სათავეში. 1986 წელს ოთხი თვით სტაჟირებაზე იმყოფებოდა ინგლისში, ქ. ლიდსის უნივერსიტეტში, სადაც არაერთი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა გამოჩენილ მეცნიერებთან.

ქალბატონ ლილის თარგმნაც უცდია და არცთუ ურიგოდ. ქართულიდან ინგლისურ ენაზე უთარგმნია გიორგი შატბერაშვილის რომანი „მკვდრის მზე“, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, მისთვის ყველაზე ახლობელი, სისხლხორცეული საქმეა სტუდენტებთან, ასპირანტებთან მუშაობა, მათი პროფესიული დაოსტატება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ექვსი დისერტაცია.

საუბარში დრო სწრაფად გაილია. დამშვიდობებისას ქალბატონმა ლილიმ მთხოვა ჟურნალის საშუალებით მადლობა გადამეცა უსინათლოთა საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის უსინათლო ადამიანებზე ესოდენი ზრუნვისთვის, რასაც საზოგადოებისაგან თავად ქალბატონი ლილიც გრძნობს.

**ბიგო სვანიძე,**
**საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამომცემლობა „ხხივის“ უფროსი რედაქტორი.**




# „სასწაულების ტყვეობაში“

Საუკუნეების განმავლობაში ფსიქო-ენერგეტიკული ხასიათის ამოუხსნელი მოვლენები აშინებდა, ანცვიფრებდა და გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აყენებდა ადამიანებს. ყველა დროში არსებობდნენ მედიუმები, რომლებიც მათივე მტკიცებით, გარდაცვლილთა სულებთან ამყარებდნენ კონტაქტს, ან კიდევ ჯადოქრები, რომლებიც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ სასწაულებს ახდენდნენ. თავის დროზე ციცერონი მიუთითებდა წინასწარ განჭვრეტის ნიჭზე. არისტოტელე კი — სიზმრებზე. ჩვენი დროის მეცნიერები ობიექტურად ცდილობენ ახსნან მსგავსი ფსიქიკური მოვლენები.

* * *

თამაზ ჭეიშვილი ჟურნალისტია, სამი შვილის მამა. იგი ადრე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე იყო. ამ რამდენიმე წლის წინ ავტოკატასტროფაში მოყვა. გამოჯანმრთელების შემდეგ დიდხანს აწუხებდა რაღაც, თითქოს შიგნიდან აწვალებდა. უჩვეულო რამ ხდებოდა მის სულში.

ექსტრასენს ლუსია ჯინჭარაძესთან შეხვედრამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა, თამაზს ძლიერი ბიოველი აღმოაჩნდა. ამის შემდეგ ჟურნალისტმა „პროფესია შეიცვალა“.

— თამაზ, ხმა დაირხა, თითქოს ბულგარელ ნათელმხილველ ვანგას შენთვის ეთქვას, საქართველოს მსოფლიოს რუკაზე ველარ ვხედავო. რას უნდა ნიშნავდეს ეს, ბიბლიურ „აპოკალიფსს“ თუ დედამიწის ცივილიზაციის დაღუპვის დასაწყისს.

— არა, ვანგას ჩემთვის ასეთი რამ არ უთქვამს, თუმცა რას გაიგებ, ამ ბოლო დროს იმდენი სტიქიური უბედურება დაგვატყდა თავს, რომ ჩვენ ვანგას გარეშეც ვამჩნევთ როგორ კატასტროფულად უარესდება ეკოლოგია და იშრიტება ბუნებრივი სასიცოცხლო რეზერვები.

— თქვენ სტიქიური უბედურება ახსენეთ... ამბობენ, რომ ულტრათანამედროვე ხელსაწყოები ყოველთვის ვერ აფიქსირებენ მიწისძვრას, რასაც ცხოველები და ფრინველები რამოდენიმე ხნით ადრე შეიგრძნობენო, ექსტრასენსები?

— ძლიერ მიწისძვრამდე რამდენიმე ხნით ადრე სეისმურ ადგილებში შესამჩნევი ელექტრომაგნიტური ველები იქმნება, რომელთა შეგრძნება ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს და ექსტრასენსებსაც შეუძლიათ. სომხეთის მიწისძვრამდე ერთი კვირით ადრე უძლიერესი ველების ზემოქმედებას ვგრძნობდი. ინტუიცია მკარნახობდა, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვერ განვსაზღვრე, კერძოდ რა: ვულკანის ამოფრქვევა, მეწყერი, თუ წყალდიდობა. როდესაც იგივე შეგრძნება შუააზიის მიწისძვრის წინ განმეორდა, უკვე ვიცო-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

დი, სადაც მისისძვრა უნდა მომხდარიყო.

— როგორ ახსნიდით ამ ორიოდე წლის წინ მომხდარ მოვლენას: ჟურნალისტმა ლია მიქაძემ ერთხელ გაიხსენა, როდესაც დელეგაციასთან ერთად ინდოეთში მიემგზავრებოდით, მატარებელში წინასწარ აგიწერიათ შორეული ინდოეთის ერთი ქალაქის სასტუმროს ფოიე თავისი ინტერიერით, და როცა იმ ქალაქში ჩახვედით, ინტერიერი ზუსტად დამთხვევია თქვენს მიერ მატარებელში დანახულ სურათს. რა იყო ეს, ნათელმხილველობა? ტელეპატია? ჯადოქრობა?

— ამგვარ მოვლენებზე 1989 წლის 23 ივლისის „მოსკოვსკაია პრავდა" წერდა, კერძოდ. საუბარი ეხებოდა აზრების და გამოსახულებების შორს მანძილზე გადაცემას, უფრო კონკრეტულად მანძილზე ხედვაში საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა ერთობლივ ექსპერიმენტს. მოსკოვში მყოფმა ჯუნამ ზუსტად აღწერა ქალაქ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი მოედანი, სადაც იგი არასდროს ყოფილა. წერილში ვკითხულობთ „ამერიკელ მეცნიერებს ერთი წუთითაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ ზოგიერთი ადამიანი დაჯილდოებულია უნარით, უნახავად აღწეროს გეოგრაფიული ადგილები, საგნები, მოვლენები. ამ ადამიანურ ფენომენს 12 წლის განმავლობაში იკვლევდნენ ამერიკის ერთ-ერთ ლაბორატორია „შრი-ინთერნეშენალში" და სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც. გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია. პირადად მე „დამინახავს" ისეთი მოვლენები, რომლებიც ადრე მომხდარა ან მომავალში მოხდება. ამ ათიოდე წლის წინ ერთი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე დროს ვხედავდი სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ჩემს წიგნში „სირიუსი, იდუმალი სტუმარი" შევიტანე. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად „მემართება" და ჩემს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

— იქნებ ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ან სიზმარი! შემოქმედ ადამიანებს ხომ კარგი წარმოსახვის უნარი აქვთ.

— არა, ფანტაზია აქ არაფერ შუაშია. რაც შეეხება სიზმარს, მეცნიერებმა ძილის მექანიზმი პრინციპულად ვერ ახსნეს, სიზმარსაც ცალსახად განმარტავენ, არადა ფაქტს სად წაუხვალ? ხშირად სიზმარი გვაფრთხილებს, ზოგჯერ მასზეა დამოკიდებული ჩვენი განწყობა, გამოღვიძების შემდეგ მთელი დღის ან კვირის მანძილზე რომ მოგვყვება. ნესისამებრ წინასწარმეტყველ, გამაფრთხილებელ სიზმრებს სიმბოლოების სახით ვხედავთ. ზოგი კი მომავლის რეალურ მოვლენებს სიზმრებში ხედავს. ერთი უკრაინელი გოგონა დიდი სამამულო ომის დროს, ოკუპაციის შემდეგ გერმანიაში მოხვდა. გავიდა წლები, გოგონა გაიზარდა, გათხოვდა და ჩეხეთში გადავიდა საცხოვრებლად. მთელი ცხოვრების მანძილზე იგი თავისიანებს დაეძებდა, ერთხელაც დაესიზმრა თითქოს ვიღაც კარნახობდა, რომ დედამისი და ძისი და კიევში ამა და ამ მისამართზე ცხოვრობდნენ. ქალმა წერილი აღნიშნულ მისამართზე გააგზავნა და მართლაც იპოვა თავისიანები. ასეთი მაგალითები უამრავია. ზ. ფროიდი და საბჭოთა პროფესორები — ა. ვეინი, ვ. კასატკინი ამტკიცებენ, რომ სიზმრები ამა თუ იმ სახით ადამიანს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის მოახლოებას აუწყებენ. შარშან საბჭოთა მეცნიერმა ი. ზინაიანმა საინტერესო ანკეტური გამოკითხვა მოაწყო ტრამვირებულთა შორის. გამოკითხულთა 98 პროცენტმა თქვა, რომ მათ წინასწარ ნახეს მომავალი ტრავმის მაუწყებელი სიზმრები. ამოიცნოთ სიზმრები, ნიშნავს აეისრულოთ დიდი ხნის ოცნება — ამოიცნოთ საკუთარი თავი. რაც შეეხება ჩემს მიერ ნანახს, — ეს იყო რეალური მოძრავი სურათები, რომლებიც ფერად უხმო კინოფილმს წააგავდა.

საუბრის დროს ირგვლივ ძლიერი გამჭოლი სიმხურვალე ვიგრძენი. ის იყო დავაპირე ამის თქმა, რომ თამაზმა დამასწრო.

— ახლა თქვენ ძლიერ სიმხურვალეს გრძნობთ, რომელიც თითქოს ძვალსა და რბილში ატანს. ჩემგან ენერგიას იღებთ. ადამიანები ენერგიას ერთმანეთში ცვლიან. ეს არის დაკავშირებული ადამიანის უხილავ ენერგეტიკულ „ქიმკართან", რომლის საშუალებით ადამიანები გასცემენ და შეავსებენ ბიოლოგიურ ობიექტებს, კოსმოსის თუ დედამიწის ენერგიას. ადამიანი დედამიწის მინი მოდელია და ისევე, როგორც დედამიწა, გარემოცულია ენერგეტიკული ველებით, ასევე ყველა ადამიანს სხვადასხვა დიაპაზონისა და თვისებების ველები გააჩნია.

აკადემიკოსი ი. გულიაევი და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ე. ვ. გოდიკი მიიჩნევენ, რომ ადამიანი ცოცხალ სამყაროს წააგავს, ისევე, როგორც შეგვიძლია განვსაზღვროთ შორეული ვარსკვლავებისა და პლანეტების მდგომარეობა, მათი გამოსხივების მიხედვით, ასევე შესაძლებელია გავიგოთ, რა პროცესები მიმდინარეობს ადამიანში, თუ კი გვექნება უნარი დავაკვირდეთ და შევისწავლოთ მისი გამოსხივება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ენერგოინფორმაცია მივიღოთ მასზე.

— შეგიძლიათ თუ არა განსაზღვროთ ადამიანის ორგანოების და ფსიქიკის მდგომარეობა შორს მანძილზე? დავუშვათ, ერთი სახლიდან მეორეში, ან ერთი ქალაქიდან მეორეში... შეიძლება მოუხსნათ ავადმყოფს ტკივილი, რომელიც თქვენგან, მაგალითად, 2000 კილომეტრით არის დაშორებული?

— ბოლო დროს ამას უკვე ვახერხებ, ამისათვის მე რამოდენიმე წლის დაძაბული შრომა და დაკვირვებები დამჭირდა. ვფიქრობ, ჩემი შემოქმედების პარალელურად შესაძლებელია აუდიო, ვიდეო და ტელევიზიებ[illegible] [illegible] რო[illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჩუმათ [illegible] მდგომარეობა და თა[illegible] [illegible] ველად ჩემი ინიციატივით გავიდა ტელეეკრანზე. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

— როგორ ახსნით ასეთი უცნაური შემოქმედების მექანიზმს?

— ამის ახსნა რომ შემეძლოს, ალბათ, ნობელის პრემიის ლაურეატი ვიქნებოდი, როგორ ახსნით ფიქრის, სიყვარულის, სიზმრის მექანიზმებს? აი, მოსკოვიდან მირეკავს პაციენტი და მეუბნება, წელის ტკივილი მტანჯავსო, მე წარმოვიდგინე, თუ როგორ ვმკურნალობ მას და ათიოდე წუთში ტკივილი ქრება.

— არ გეშინიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს არაენერგეტიკულ ადამიანად გაიღვიძოთ, ანდა, როგორ ახერხებთ ენერგიის აღდგენას?

— ექსტრასენსი, ისევე როგორც ყველა ადამიანი, ენერგიას სიმშვიდეში იღებს. მე ვგრძნობ, რომ თვის გარკვეულ დღეებში ჩემს ენერგეტიკულ სისტემაში ახალი ენერგია აღწევს. ამ მოვლენის მექანიზმის ახსნა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ყველა ადამიანს აქვს ენერგია, რომლის უაზრო ფლანგვა ისევე არ შეიძლება, როგორც საკუთარი სისხლის უაზროდ დაკარგვა. მაგალითად, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების განეიტრალებაზე ორგანიზმი უდიდეს ენერგიას ხარჯავს, ან აგრესორი მეზობლის გამოპასუხებაზე სასიცოცხლოდ აუცილებელი ენერგიის დოზას გავცემთ ხოლმე. შეიძლება ენერგიის გარეშე იმუშაოს ჩვენმა ტელევიზორმა, რადიომიმღებმა და სხვა ელექტროხელსაწყოებმა? ასევე შინაგანი ელექტრორესურსების გარეშე მუშაობა გაუჭირდება გულს, ღვიძლს, ტვინს.

— შარშან ტელემაყურებელმა პროგრამა „ვზგლიადში" გიხილათ. თქვენ იქ ანგინიანი გოგონა თვალის დახამხამებაში განკურნეთ, თანაც ენერგია მეხუთე კაცის ხელით გადაეცით.

— მაშინ „ვზგლიადში" ერთსაათიანი პროგრამა ჩაიწერეს, სულ რაღაც 7 წუთი კი გამოიყენეს. ესეც დიდი მიღწევა იყო. სტუდიაში ბევრი „ავადმყოფი" მოიყვანეს, ზოგს თავის ტკივილი მოვუხსენი, ზოგს კბილის და ა. შ. მაშინ ვადიმ ბელოზიოროვმა („ვზგლიადში" „ჯადოქრების" განყოფილების გამგედ ითვლება!) მითხრა, იქნებ ისეთი სასწაული გააკეთო, რასაც კაშპიროვსკი აკეთებსო. მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ეს სასწაული მეთქი, ვკითხე. სასწრაფოდ მოიყვანეს რეჟისორის ასისტენტი გოგონა, რომელსაც მეხუთე დღეა მაღალი სიცხეები და ჩირქოვანი ანგინა

ჰქონდა (ალბათ გახსოვთ ეს გოგონა ტელეეკრანიდან შეხვეული ყელით, ძლივს რომ ლაპარაკობდა). მე ტელევიზიის ხუთ თანამშრომელს ერთმანეთისთვის ხელი ჩავაკიდინე (უფრო მეტიც შეიძლება, ათი, თხუთმეტი, ოცი... მაგრამ ტექნიკურად ამის გადაღების საშუალება არ იყო), ბოლომ ხელისგული გოგონას ყელს მიადო, პირველს კი მაჯაში მე ჩავკიდე ხელი... ვიგრძენი, როგორ გადავიდა ენერგიის ჭარბი ნაკადი ჩემი ხელიდან მეზობლისაში. გოგონამ წამებში იგრძნო ბიოენერგეტიკის ზემოქმედება, თხუთმეტი წუთის შემდეგ სიწითლეც გაუქრა, სიცხე კი ოცდათექვსმეტს და ექვსს უჩვენებდა.

— ბულგარეთის პოპულარულმა ჟურნალმა „ანტენიმ" თქვენზე საკმაოდ მოზრდილი მასალა დაბეჭდა ფოტოებით.

— შარშან ბულგარეთში მიმიწვიეს. იქ ჟურნალისტებსა და მწერლებს ვმკურნალობდი. მაშინ აიღო ჩემგან ინტერვიუ ჟურნალის რედაქტორმა სპას პოპოვმა. ბულგარეთში ამ მეთოდით მკურნალობა დიდი პოპულარობით სარგებლობს, გახსნილია კლინიკები, ერთ-ერთ ასეთ კლინიკაში მეც მიმიწვიეს.

— ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონმა კალათბურთში მედეა მხეიძემ ერთ-ერთ თავყრილობაზე თქვა. მე თუ მსოფლიო ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა და ჩემპიონიც გავხდი, ეს თამაზ ჭეიშვილის დამსახურებააო. რა საერთო გაქვთ კალათბურთთან?

— მხოლოდ ის, რომ ჩემი ძმა ნუგზარი, ერთ დროს თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის მოთამაშე იყო. ტრავმირებული სპორტსმენები ხშირად მაკითხავენ. მათი ორგანიზმი კარგად ექვემდებარება მკურნალობის ამ მეთოდს, სწრაფად უშუშდებათ ტრავმები, სწრაფადვე ხდება სისხლის ჩაქცევების გაწოვა.

— რა დაავადებებს არჩენთ?

— ვერ გავკადნიერდები და ასე ხელაღებით ვერ ვიტყვი, გინდათ თუ არა ამა და ამ დაავადებას ვარჩენ მეთქი. მორჩენა, თუ არ მორჩენა დამოკიდებულია თვით პაციენტის ორგანიზმზე, ჩემს შინაგან ფსიქოენერგეტიკულ მდგომარეობაზე, წელიწადის, თვის, კვირის დროზე და ა. შ. ზოგჯერ ათი რადიკულიტი სულ ადვილად ინკურნება, მეთერთმეტე ავადმყოფს კი ვერაფერს ვუხერხებ, ასე რომ, ისეთი სასწაულმოქმედიც არა ვარ, როგორც ბევრს ჰგონია.

— და მაინც, რა დაავადებები ექვემდებარება მკურნალობის თქვენს მეთოდს?

— ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, ჩემი არ არის, ხელის დადებითა და ფსიქოენერგეტიკით მანძილზე მკურნალობის ხელოვნებას ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ წარმატებით და ფლობდნენ კოსმოსური ენერგიის მიღების საიდუმლოებას. ამ მეთოდით მკურნალობას შედარებით კარგად ექვემდებარება ნევროგენური დაავადებები, ნევროზები, უძილობა, აკვიატებული აზრები, შესანიშნავად ხდება დაკარგული ძალების აღდგენა, სტრესების მოხსნა, ადამიანის რელასქსაციაში, სულიერ წონასწორობაში შეყვანა, ხშირ შემთხვევაში ინკურნება ქალური დაავადებები, რადიკულიტები, წყლულები, ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა და ა. შ. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მკურნალობის ეს მეთოდი პანაცეა არ არის.

ალსანიშნავია ისიც, რომ ჩემთან მოდიან ისეთი ადამიანები, ვინც მკურნალობის ყველა ფორმა უშედეგოდ გამოსცადა თავის თავზე. ასეთ ადამიანებს ხშირად ვერც მე ვკურნავ, როგორც უკვე გითხარით, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად მიხდება ავადმყოფების გაწბილება. ახლა რაც შეეხება განკურნების პროცესის ხანგრძლივობას. მქონია შემთხვევა, როდესაც ავადმყოფი პირველივე სეანსის შემდეგ განკურნებულა. ასეც მომხდარა, რომ განკურნების პროცესი კურსის (10-15 სეანსი) დამთავრებიდან ორი კვირის ან ერთი თვის შემდეგ დაწყებულა. სხვათაშორის, ჩემი ენერგია ცუდად მოქმედებს მათზე, ვისაც პროთრომბინი მომატებული აქვს, ასევე დაუშვებელია ფეხმძიმე ქალებთან მუშაობა. ჩვენს საქმიანობაში ბევრი ნიუანსია. ისიც მომხდარა, ექსტრასენსი თვითონვე გამხდარა ამა თუ იმ დაავადების მსხვერპლი. ერთი სიტყვით, თუ გადაწყვიტე, რომ შენი ენერგია ადამიანთა სამკურნალოდ წარმართო, სრულყოფილად უნდა ფლობდე ენერგიის მიღებისა და გაცემის მკურნალობის ტექნიკას.

— ზემოთ აღნიშნეთ, რომ ყველა ადამიანს ენერგიის გარკვეული ნაწილი აქვს, მაგრამ ნებისმიერს შეუძლია განივითაროს თავის თავში ექსტრასენსული შესაძლებლობები?

— ამას იოგები ახერხებენ განსაკუთრებული ხანგრძლივი ვარჯიშების ხარჯზე. ნუ შეეცდებით გახდეთ ექსტრასენსები, ნათელმხილველები, შეეცადეთ შეინარჩუნოთ თქვენი სასიცოცხლო ფსიქოენერგეტიკა და ისევე გაუფრთხილდეთ, როგორც ჟანგბადს. ადამიანებს რომ ესწავლათ საკუთარი ენერგიის მართვა, ჩასწვდომოდნენ ბიოენერგიის ცხოველმოქმედების პროცესებს, გაცილებით ნაკლები იქნებოდა დანგრეული ოჯახები, კატასტროფები, სტიქიური მოვლენები, ინფარქტები, ინსულტები. ამ საკითხებში გაურკვევლობა ჩვენი ბრალი როდია; ამაში ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი სისტემაა დამნაშავე, ჩვენში რასაც ვერ ვხსნით, ყველაფერს უარვყოფთ. მაგალითად, ამერიკაში მეცნიერებმა იმასაც მიაღწიეს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაიგოს, რომელი დღეა მისთვის ენერგეტიკულად საშიში და საფრთხის თავიდან ასაცილებლად ასეთ დღეებში მას მკერდზე მიბნეული აქვს გამაფრთხილებელი ნიშანი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მისი აღელვება ამ დროს არ შეიძლება. ფაქტიურად ადამიანი ხომ სასწაულების სკივრია, მთავარია ამ სკივრის გასაღების მოძებნა.

— რახან სასწაულებს შეეხეთ, როგორ გრძნობთ თავს სასწაულების ტყვეობაში?

— ტყვეობის ნებისმიერი ფორმა მიუღებელია. ტყვეობის, მონობის, ბრმა მორჩილების ფსიქოლოგია ინფორმაციის უქონლობის პირობებში ყალიბდება, ესა თუ ის მოვლენა სასწაულია მანამ, ვიდრე აუხსნელია, გაუგებარია, ახსნილი სასწაული კარგავს მაგიურობის ეფექტს და ყოველდღიური მატერიალურობის მნიშვნელობას იძენს.

— კაშპიროვსკისა და ჩუმაკის „სასწაულებზე" რაღას იტყვით?

— ერთიც და მეორეც უნიკალური ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან. მათი ზემოქმედების ეფექტი ემყარება განსაკუთრებული დიაპაზონისა და სიძლიერის ფსიქოენერგეტიკული სუბსტანციის გენერირებას, რომლის ზემოქმედების მასშტაბები განუსაზღვრელია. რასაკვირველია, აქ გამორიცხული არ არის ფსიქოთერაპიის ფაქტორიც. მაგრამ ეს თავისთავად ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა დონის ავტორიტეტს წარმოადგენდა ამა თუ იმ პაციენტისთვის კაშპიროვსკი ან ჩუმაკი. თუმც კაშპიროვსკი თავის თავს ფსიქოთერაპევტს უწოდებს, ჩემი ღრმა რწმენით იგი შედეგებს ფსიქოენერგეტიკული ველების გენერირების ხარჯზე ახდენს. ფსიქოთერაპია აქ მესამე ხარისხოვანი ფაქტორია, კაშპიროვსკის ავტორიტეტიდან გამომდინარე ფაქტორი.

* * *

მეოცე საუკუნემ ბევრ საოცრებას ახადა ფარდა. მაგრამ სამყაროში უამრავი რამ არის გასარკვევი, მაგალითად, რა ძალა ამოძრავებს ან რისთვის დაეშვა ახლახანს ვორონეჟში მფრინავი ობიექტი, ან ვინ არიან მისი ეკიპაჟის წევრები, ან რა ხელმა შექმნა და რისთვის შექმნა ნასკას უდაბნოში უშველებელი გამოსახულებები, რომლის გარჩევა მხოლოდ ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან თუ შეიძლება, როგორ ახერხებს ვანგა მიიღოს ინფორმაცია წარსულსა და მომავალზე, ვინ ახსნის ინკების გაქრობის იდუმალებით მოცულ ისტორიას, ვინ ახსნის ბოლოს და ბოლოს ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებას. ბევრ კითხვას მომავალი უპასუხებს. ჯერჯერობით კი შეგვიძლია მხოლოდ იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ჩვენში დახურული თემები აღარ არსებობს. ასე რომ არა, ეს სტრიქონებიც არ დაიწერებოდა.

ესაუბრა **მარინე ასათიანი**



# მშვენიერი სალონის დიასახლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხსოვნა

ნინო ხშირად მესაუბრებოდა თავის დაზე, ქეთევან ირემაძეზე, განუკურნებელმა სენმა რომ შეიწირა. დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა მისდამი. უფრთხილდებოდა მის ყოველ ნივთს, წერილებს, სურათებს, წიგნებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ შესანიშნავი ქალის ცხოვრებასთან. ერთხელ, ჩემი იქ ყოფნის დროს, ხელი მოხვია ქეთევანის ბრინჯაოს ქანდაკებას, მოეფერა, აკოცა, შემდეგ ცერად გადმომხედა და მითხრა:

— დაწერე ქეთოზე პატარა წიგნი, შენ ხომ კარგად იცნობდი ჩვენს ოჯახს, დედაშენიც მეგობრობდა ქეთოსთან.... მერე კიდევ, ჩემთვის უახლოესი ადამიანი ხარ, ვისაც შემიძლია გული გადაგიშალო, ყველაფერი გითხრა...

და დაიწერა პატარა წიგნი „ქეთევან ირემაძის გახსენება“.

ნინოსავე ინიციატივით მოეწყო, აგრეთვე, ლიტერატურულ მუზეუმში ქეთევანისადმი მიძღვნილი საღამო, რისთვისაც დიდად ემადლიერებოდა გიორგი ნატროშვილს. ამ საღამოზე გაიცნო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლამზირა ჩხეიძე, რომელმაც შთამბეჭდავად წაიკითხა ნაწყვეტი ქეთევან ირემაძის რომანიდან „ქეთევან წამებული“. ამის გამო აღტაცებული მეუბნებოდა:

— რა ნიჭიერი ქალია, როგორი მეხსიერება აქვს. მოიყვანე, თუ ხათრი გაქვს, ჩემთან, მადლობა მინდა ვუთხრა.

როდესაც ლამზირა მივუყვანე, სიხარულით აუკიაფდა თვალები. უყვარდა საუბარი სულიერად ახლობელ ადამიანებთან, ეს იყო მისთვის ყველაზე სასიამოვნო წუთები. სტუმართმოყვარე ოჯახში სუფრა ნატურმორტივით დაგვხვდა გაშლილი.

— აი, ეს ხილი ნაყიდი კი არ არის, ჩემმა ბიჭმა, თამაზმა წყნეთიდან ჩამომიტანა, მიშას უყვარდა იქ მუშაობა, შვილივით უვლიდა ხეებს, — თქვა და თვალები ერთ წერტილს მიაპყრო, თითქოს სხვა სამყაროში გადაიხედა, ალბათ თავისი მშვენიერი წარსული გაახსენდა მეუღლესთან და შვილებთან გატარებული. შემდეგ ქალბატონ ლამზირას მიუბრუნდა:

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ისეთი შესანიშნავი გამოსვლისათვის და მადლობას ვუხდი, აგრეთვე, იმ საღამოს მონაწილეებს: მედეა ბიბილეიშვილს, ელენე საყვარელიძეს, გიორგი ჯიბლაძეს, მარიკა ბარათაშვილს, იოსებ მეგრელიძეს, იაკობ ტრიპოლსკის, რომლის სიკვდილმა საშინლად დამწყვიტა გული.... — ნინო წუთით დადუმდა, შემდეგ განაგრძო, — სერგი ჭილაიას, მერი მიქელაძეს და სხვებსაც მადლობას ვუძღვნი, ისე თბილად რომ მოიგონეს იმ საღამოს ჩემი ქეთუშა...

როდესაც მის ბინაში შევდიოდი, პროფესიონალ ხელოვანთა სალონში მეგონა თავი. ფერწერული ტილოებით მოფენილ ორ დიდ დარბაზში უდიდეს სიამოვნებას იგრძნობდა ადამიანი. ნინო ირემაძე-ჩაჩავა თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ მომხიბლავი ფერებითა და ოსტატობით ხატავდა საქართველოს ბუნებას, თავის საყვარელ ადამიანებს. ამ ნამუშევრებში იყო ჩაქსოვილი ნიჭი, უსაზღვრო სიყვარული ხელოვნებისადმი. მას საკუთარი ხელწერა ჰქონდა, აფორმებდა, აგრეთვე, თავისი მეუღლის, გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ მიხეილ ჩაჩავას სქელტანიან მეცნიერულ შრომებს, რომელთაც თავადაც ექიმი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

აღტაცებული შევყურებდი ირგვლივ ყველაფერს და ვიყავი ბედნიერი, რომ ამ მშვენიერი ქალის მეგობრობა დავიმსახურე. ხომ წარმოგიდგენიათ XIX საუკუნის ბრწყინვალე სალონების ულამაზესი ქალები? — აი ასეთი გარეგნობით იყო შემკული ქალბატონი ნინო.

ერთხელ შევეკითხე, თქვენი რძლის, ლიანა ისაკაძის პორტრეტი თუ გაქვთ-მეთქი.

— იცი რა? ლიანა ყველასათვის და, მითუმეტს, ჩემთვის ისეთი დიდი მუსიკოსია, რომ უბრალო სურათის დახატვას მოვერიდე, რაღაც სხვა მინდა შევქმნა. აი, რა მაქვს ჩაფიქრებული, — მითხრა და მაჩვენა ესკიზი.

— ძალიან მომწონს, ძალიან.

— მართლა მოგეწონა?! მაშ დავხატავ ასე, კარგია რომ გაჩვენე.

ვათვალიერებ შთაბეჭდილების წიგნს... სამწუხაროდ, მაშინ არ მქონდა საშუალება, ამომეწერა იქიდან ავტორთა გვარები, რა ვიცოდი, რომ ასე მოკლე იყო ნინოს წუთისოფელი. ამ წიგნში თავმოყრილია ჩანაწერები, სადაც ქებას ასხამენ მხატვარ ქალს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ხელოვნების მოღვაწეები, ამ დიდი ოჯახური სალონის სტუმრები.

ქალბატონი ნინო ძალიან თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი იყო. მხატვრობით გატაცებულს არასდროს უფიქრია ვინმე გაეკვირვებინა თავისი შემოქმედებით. თავდავიწყებით უყვარდა პოეზია, როდე-

…აც მასთან მივდიოდი, ლექსებით …იწყებოდა ჩვენი საუბარი.

ნინომ მძაფრად განიცადა 9 აპრილის ტრაგედია. ორჯერ წამაკითხა ჩემი ლექსი „9 აპრილი". ცრემლებს ვერ იმაგრებდა. შემდეგ დედაჩემის, საფო მგელაძის ლექსი „საქართველო" წავუკითხე, თვალები გაუფართოვდა…

— როგორ დაწერა 70 წლის წინათ ახალგაზრდა ქალმა ისეთი ლექსი, რომელიც დღევანდელობას ეხმაურება?! თუმცა მე ქეთოსაგან ვიცოდი, რომ საფო ნიჭიერი და მებრძოლი ქალი იყო… — ადგა, მეორე ოთახიდან ქეთევანის ორი პორტრეტი გამოიტანა, მის მიერ შესრულებული და ორივე მე მომიძღვნა წარწერით.

— კი მაგრამ, ორივეს რატომ მჩუქნი?

— შენი იმედი მაქვს. ვიცი შეინახავ და ქეთოზე იზრუნებ. მე აწი ველარაფერს შევძლებ. ის კი არა, იმას ვფიქრობ, მე რომ მოვკვდე, თამაზს და ირმას რა ეშველებათ.

— ლიალიკო (ნინოს შინაურული სახელია), ველარა გცნობ, რა დროს სიკვდილია, რა უცნაურად ლაპარაკობ?!

ალბათ, მაგნიტური ქარიშხლის ბრალია… მეშინია, თან სულის ხუთვა დამჩემდა.

უსიამოვნო ფიქრებით შეპყრობილი შინ ვბრუნდებოდი, „მე რომ მოვკვდე, თამაზს და ირმას რა ეშველებათ?!" — ზარივით რეკდა ჩემს ყურში მისი სიტყვები.

შევპირდი, კვირას მივიდოდი.

…ცხოვრება ათას უსიამოვნო სიურპრიზებს გვიმზადებს. კვირა დილით, მასთან წასვლის წინ, გაზეთი გავშალე და გაოგნებული დავაცქერდი სამგლოვიარო განცხადებას… უმალვე ქალბატონი ნინოს ოჯახს მივაშურე: იმ დღეს, როდესაც ჩვენი საუბრები საღამომდე გრძელდებოდა, მისი ცხედარი ვნახე.

დამთავრდა ბრძოლა ცხოვრებასთან, ყოველდღიური ზრუნვა შვილებზე, ოცნება და მღელვარება, სიხარული და მწუხარება მშვენიერი სალონის დიდებული დიასახლისის, ღირსეული ქართველი ქალისა.

**ზუზანა მგელაძე**

ეს საინტერესოა

# …და მტრფოდნენ მას, მარად მშვენიერს

მადამ რეკამიე — ამ მომხიბლავი, გონებამახვილი, საოცარი ბედის ქალბატონის გარეგნობა შემოგვინახა საუკუნის მიღმა სალონური მხატვრის, ცნობილი დავიდის ნამოწაფრის, ფრანსუა ჟერარის ტილომ.

„მეწამული ფარდების ფონზე ანტიკურ ქალღმერთივით დგას ჰაეროვან ლიაფერის კაბაში გამოკვართული გასული საუკუნის სილამაზის დედოფალი. საოცრად იკვეთება თეთრი კანი და ძალდაუტანებლად, ნაზად დახრილი მშვენიერი სახე, სათნოებით და მიმნდობად რომ გამოიმზირება თაფლისფერი თვალებით".

მადამ რეკამიე იყო ქალის იდეალი, მას ბაძავდნენ, მისგან ილებდნენ, მას ეჯიბრებოდნენ, მაგრამ ამასთანავე იგი უყვარდათ.

ჟულიეტა-ჟანნა-ადელაიდა-ფრანსუაზა დაიბადა ქალაქ ლიონში, ნოტარიუსის ოჯახში, რომელმაც 1786 წელს მიიღო ახალი თანამდებობა და პარიზში გადასახლდა. 16 წლის ქალიშვილი მიათხოვეს მასზე ოცდაექვსი წლით უფროს კაცს — ბანკირ რეკამიეს. თანამედროვეთა გადმოცემით ბანკირი მას მამაშვილურად ექცეოდა და მშვენიერ ქალიშვილს საკუთარი პრესტიჟისა და საქმიანი კონტაქტებისათვის იყენებდა.

მადამ რეკამიემ თავიდანვე დაიმსახურა კარგი რეპუტაცია. მისი სალონი ცნობილ საკრებულოდ იქცა, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალის თაყვანისცემასა და რაინდობაში. მადამ რეკამიე თავისი გასაოცარი მანერით ადვილად ახერხებდა მეგობრული დამოკიდებულებით შეეცვალა შეყვარებულ მამაკაცთა ზრახვები. ასე იქმნებოდა საოცრად ფაქიზი, ინტერესთა ერთობაზე დამყარებული გარემო.

ერთხელ იმპერატორ ნაპოლეონს მოახსენეს, რომ მისი სამი მინისტრი მადამ რეკამიესთან სტუმრობდა. ნაპოლეონმა, რომელიც განაწყენებული იყო ქალის კატეგორიული უარით გამხდარიყო სეფექალი და „იმპერატორის მეგობარი", გესლიანად განაცხადა თურმე: „— არ მეგონა, რომ, მინისტრთა საბჭო ახლა მადამ რეკამიეს სახლში ატარებს სხდომებს". დიახ, იწყინა იმპერატორმა, იწყინა და სამაგიეროც მიუზღა თავის დროზე, როდესაც 1806 წელს რეკამიეს ბანკი გაკოტრდა, თითიც არ გაანძრია მის დასახმარებლად, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ პარიზიდან გააძევა თვით ჟულიეტაც.

მეუღლის გაკოტრების ამბავი რომ გაიგო, მადამ რეკამიემ მაშინვე გაყიდა თავისი ძვირფასეულობანი, ქმარს ფული გადაუგზავნა და სამუდამოდ მიატოვა მონ-ბლანის ქუჩაზე მდიდრული სასახლე. ამ ქალის დიდსულოვნება და კეთილშობილება აოცებდა ყველას. მხოლოდ ერთხელ, როდესაც მისი გულიც აძგერდა საპასუხო გრძნობით პრინც ალბერტისადმი, რომელმაც ხელი სთხოვა მშვენიერ და ამაყ ქალბატონს, ჟულიეტამ წერილით განქორწინება სთხოვა ქმარს. და მაშინაც უკან დაიხია, რადგანაც ქმრის მორჩილ პასუხს თან ერთვოდა თხოვნა. არ დავიწყებოდა ის ფაქტი, რომ იგი უკვე მოხუცდა და გაღატაკდა. ჟულიეტამ უარი შეუთვალა პრინც ალბერტს.

განდევნილობის წლები მადამ რეკამიემ ლიონში გატარა, ხოლო პარიზში დაბრუნების შემდეგ დასახლდა ქალაქგარეთ მდებარე ტყის სააბატოში. და სწორედ ეს ადგილი იქცა პარიზის შესანიშნავი ადამიანების თავშეყრის ადგილად. აქ მოდიოდნენ, საუბრობდნენ მომხიბლავი და გამბედავი მასპინძლის მყუდრო სასახლეში. კვლავ დაიპყრო გულები უმშვენიერესმა ქალმა: ლუსიენ ბონაპარტე, ბენჟამენ კონსტანი, ფრანსუა შატობრიანი.

მადამ რეკამიე გარდაიცვალა 1849 წლის 5 მაისს, შატობრიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. ანდერძის თანახმად მისი შემორჩენილი ქონება ქალაქ ლიონს გადაეცა.

1977 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში, ისტორიულ მუზეუმში, მადამ რეკამიეს დაბადებიდან 200 წლისთავი აღნიშნეს და ერთხელ კიდევ გაიხსენეს გასული საუკუნის უმშვენიერესი ქალბატონი, რომლის ირგვლივ თავმოყრილია მისი დროის შესანიშნავ ადამიანთა მთელი პლეადა.

თამარ გოგოლაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲓᲔᲓᲐ ᲡᲐᲠᲐᲡ ᲝᲠᲐᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე მესხეთი მრავალშვილიანი დედებით იყო განთქმული. იშვიათად, რომ ხუთ შვილზე ნაკლები ვინმეს ჰყოლოდა — ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და არც საგმირო საქმედ მიაჩნდათ.

ხალხის პატივი და თაყვანისცემა წილად ერგებოდა არა იმ დედას, ვისაც მხოლოდ მრავალი შვილი ჰყავდა, არამედ იმას, ვინც ამ მრავალ შვილს პატიოსნად და ნამუსიანად აღზრდიდა, მამულის სამსახურში ჩააყენებდა. ასეთი დედები თავიანთ მანდილს წმინდად და შეურყვნელად ატარებდნენ, გამრჯეობითა და ხელსაქმის ცოდნით გამოირჩეოდნენ, იყვნენ სტუმართმოყვარენი, ტკბილი სიტყვა-პასუხის მქონენი. პირადი მაგალითით შვილებს შრომასა და მოყვასის სიყვარულს ასწავლიდნენ.

უკვე კარგა ხანია ვითარება შეიცვალა და ახლა, სამწუხაროდ, ისეთ დედებსაც მივაგებთ ხანდახან პატივს, რომელთაც, მართალია, შვილები კი ბლომად გაუჩენიათ, მაგრამ მათ მოვლა-პატრონობაზე თავს არ იწუხებენ, ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების დახმარებით იოლად ატარებენ დედის ტვირთს. ასეთებს, იცოცხლე, მადაც კარგი აქვთ და წამდაუწუმ ითხოვენ დახმარებას მრავალშვილიანი დედის სახელით (გვიჭირს მცირერიცხოვან ქართველებს, მაგრამ ასეთი დედების ხარჯზე არ უნდა ავინაზღაუროთ დანაკლისი).

დიახ, იმას მოგახსენებდით, ხალხის სიყვარულს როგორი დედები იმსახურებდნენ. ერთ ასეთ დედაზე მინდა მოგითხროთ — სარა ველიჯანაშვილზე, რომელმაც თერთმეტი შვილი აღზარდა — ცხრა ვაჟი და ორი ქალი. სარა ველიჯანაშვილი იყო ის პირველი მესხი ქალი, რომელსაც „გმირი დედის“ წოდება მიენიჭა.

იაკობ და სარა ველიჯანაშვილები უძველეს მესხურ სოფელში — ხიზაბავრაში ცხოვრობდნენ. გამორჩეული იყო მათი ოჯახი. იაკობი ერთ-ერთი ცნობილი კაცი გახლდათ მესხეთში. იგი პირადად იცნობდა აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ფრონელს, ივანე (ვინმე მესხი) და კოსტა გვარამაძეებს, იოსებ ხუციშვილს, მიხეილ თამარაშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს...

1890-1904 წლებში იაკობ ველიჯანაშვილი სხვებთან ერთად მხარში ამოუდგა მღვდელ მიხეილ ვარძიელს და ხალხისაგან შემონაწირი თანხებით ააგეს ახალი ეკლესია, აგრეთვე ვაჟთა და ქალთა ოთხკლასიანი საერო სკოლის ორი შენობა.

სოფლისათვის ბევრი სადაო საკითხი წყლის, მიწის, ტყის შესახებ იაკობ ველიჯანაშვილის გარეშე არ წყდებოდა. ასეთ საქმეებზე, ვინ იცის, რამდენჯერ წალკის გავლით ფეხით წასულა თბილისში და უკან დაბრუნებულს გაკეთებული საქმით სოფელი გაუხარებია.

დედა სარა მართლაც ღირსეულ მეუღლეობას უწევდა იაკობს. ვის რა უნდა დასჭირვებოდა სოფელში, სარასთვის რომ არ მიეკითხა. ყველაფერი ემარჯვებოდა — ხელსაქმეს ასწავლიდა გასათხოვარ ქალებს, რჩევა-დარიგებას არ აკლებდა ახალგაზრდა დედებს, მაგრამ განსაკუთრებით აქიმობამ გაუთქვა სახელი სარა ველიჯანაშვილს მთელ მესხეთში. საიდან აღარ მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა სარას ჯადოსნური ხელი ყველაფერს აგროვებდა — ათასგვარი ჯიშის ბალახებს, ყვავილებს, ფესვებს, ფრინველისა და ცხოველის ნაღველასა და ცხიმს ახმობდა, ფქვავდა, ნაყავდა და ინახავდა შალის პატარა პარკებში. მათგან დამზადებული მალამო თუ წამალი მკურნალის კეთილ ღიმილთან ერთად ბევრ დაავადებას არჩენდა. სარა უფასოდ მკურნალობდა.

აი, მისი ერთ-ერთი წამლის რეცეპტი, ბრონქიალური ხველის საწინააღმდეგო. „ერთი ლიტრი რძე, 300 გრ უცეცხლო თაფლი, 200 გრ კარაქი და 100 გრ ქაფურის ხმელი ბალახი, ყველაფერი ეს კარგად უნდა გაილესოს, ჩაიფხიკოს ცოტა სანდალი და უზმოზე უნდა დაილიოს 100 გრ-ის რაოდენობით, პატარა ყლუპებით", ან კიდევ... თუმცა დაწერას რა მნიშვნელობა აქვს, როცა ველიჯანაშვილების ოჯახში შემორჩენილ ყველა რეცეპტს სანდალი ამშვენებს. სანდალი კი დედა სარას გარდა, არავინ იცის რა იყო... სამწუხაროდ ვერც ერთმა შვილმა ვერ გამოიყენა დედის ცოდნა და ასე უკვალოდ დაიკარგა ასწლობით ნასწავლი გამოცდილება.

სარას დიდი ოჯახიდან შვიდი ვაჟი და ორი შვილიშვილი იბრძოდა დიდ სამამულო ომში. ომიდან მხოლოდ ხუთნი დაბრუნდნენ. ისინიც დაინვალიდებულნი. დედის წამლებმა და მალამოებმა სასიკვდილოდ განწირული შვილი — დავითი სამ თვეში ფეხზე დააყენა.

ველიჯანაშვილის ოჯახში გაზრდილი ყველა შვილი სამაგალითო იყო სოფლისათვის. სხვანაირად ან კი როგორ იქნებოდა. მარტო ერთ-ერთი მათგანის, მიხეილის იმდენ სიკეთეს, რაც მას ხიზაბავრისათვის გაუკეთებია, ვინ მოთვლის! ბაღვენახის გაშენება 80 ჰექტარზე, სასმელი და სარწყავი წყლის გამოყვანა, ტერასების აღდგენა, დიდების მუზეუმის შექმნა მისი უშუალო ინიციატივით ხდებოდა. ბატონი მიხეილი, ახლა უკვე საკმაოდ ხანდაზმულია, მაგრამ კვლავ უშურველად იღვწის სოფლისათვის, ეს სიყვარული მემკვიდრეობით მიიღო მშობლებისაგან.

...დღეს დედა სარას შთამომავლობა ორას ორმოცს აღწევს. ყველა მათგანი თავისებურად ემსახურება სოფელ-ქვეყანას, გზის დაკვალიანებაში კი კალთამადლიანი მანდილოსნის ხსოვნა ეხმარება.

მანანა ზარიძე

# „სილამაზის ქალბატონი

ლამარა ხუციშვილი გაერთიანება „პირიმზის" სილამაზის სალონში მუშაობს (დირექტორი გ. ქეშელაშვილი) კოსმეტოლოგად. რაღაც საოცარი კეთილშობილების განსახიერებაა ქალბატონი ლამარა. ერთბაშად მოგნუსხავს თავისი თბილი თვალებითა და სიტყვებით, კეთილსინდისიერად ემსახურება ქალაქის მანდილოსნებს. ვინ იცის რამდენი ქალიშვილისათვის დაუმშვენებია პირისახე და მერე გალამაზებულ ქალიშვილს თავისი გულისსწორი უპოვნია.

საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, კერძოდ საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკაში, შვეციაში და მრავალ სხვა ქვეყანაში კოსმეტოლოგის პროფესია მეტად პატივსაცემად ითვლება. საქართველოშიც ჰყავს თაყვანისმცემლები.

ქალბატონი ლამარა 1972-1973 წწ. მუშაობდა სტუდქალაქში კოსმეტოლოგად, 1974 წლიდან ემსახურება გაერთიანება „პირიმზეს" და ამავე დროს შეთავსებით უძღვება ზემო ავჭალის კულტურის სახლთან არსებულ კოსმეტოლოგთა წრეს, სადაც სწავლის ვადა ათი თვეა. ჰყავს თვრამეტი მოსწავლე. სასწავლებელი იძლევა კოსმეტიკის შემსწავლელი ერთწლიანი კურსების დამთავრების მოწმობას. თვეში სწავლის ქირა ერთი თუმანია. მეცადინეობა იმართება კვირაში ორჯერ — ორორი საათით. სწავლის პროცესი ითვალისწინებს სახის კანის სხვადასხვანელსაცხებლის დამზადებას, ეპილაციას, მის ჰიგიენას, გაწმენდა-გასუფთავებას... მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ქალბატონ ლამარას. იგი ზედმიწევნით კარგად ფლობს თავის პროფესიას და ცდილობს სხვებსაც შეასწავლოს და გაუზიაროს ცოდნა და გამოცდილება, მით უფრო, მოთხოვნილებაც დიდია ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებაში; ყოველ ქალს სჭირდება სილამაზე და სახის მოვლა.

ქალბატონ ლამარას აქვს კარგი ოჯახი, არის შესანიშნავი დედა და ბებია. ჰყავს ვაჟიშვილი და ორი შვილიშვილი. რძალი ეკონომისტია, ვაჟი — ინჟინერი.

ღვთით მომადლებული ნიჭი აქვს ადამიანობისა, რითაც ყველას სიყვარულს იმსახურებს. ყოველივე სიკეთესთან ერთად დიდი პატრიოტია თავისი ერისა, მოყვარე თავისი მიწისა და ქვეყნისა. საოცრად უყვარს თბილისი, ყვავილები და პოეზია... მისი სამაგიდო წიგნია ანა კალანდაძის ლექსების კრებული.

მას უყვარს ხელოვნება და თავადაც ხელოვანია ეს „სილამაზის" ქალბატონი".

ლანდა მასხულია

# მისაბაძი მაგალითი

საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში, დიდი ქალაქების ახლოს არსებობს სილამაზის პანსიონატები, სადაც ქალს შეუძლია დაჰყოს ერთი, ორი, სამი, თუნდაც 5-6 დღე. მას იქ ელის მრავალფეროვანი დიეტური კვება, მყუდრო ერთ ან ორადგილიანი ნომერი, საუნა, კოსმეტიკის, მასაჟის, პედიკიურისა და მანიკიურის კაბინეტები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი საჭიროა ქალის სილამაზისათვის. იქნებ ქართველ კოოპერატორებს მოეწონოთ ეს იდეა და თბილისის მახლობლადაც გახსნან მსგავსი პანსიონატები? ცხადია, ასეთი პანსიონატის საგზური იაფი არ ეღირება, მაგრამ სილამაზე ხომ მსხვერპლს მოითხოვს.

# ნამცხვრები

## ფახლავა

მასალა ცომისთვის: — 1 კვერცხი, 200 გრ კარაქი, ერთი ჭიქა არაჟანი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 1 სუფრის კოვზი ძმარი, ნახევარი ჯავზი (მუსკატის კაკალი) დანაყილი ან დაფხეკილი, 3 ჩაის ჭიქა ფქვილი;

მასალა საჩურთის, ანუ გულისათვის: 2 კვერცხის ცილა, ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი ჭიქანახევარი წვრილად დაჭრილი მოხალული ნიგოზი, ეს ყველაფერი აურიეთ ერთმანეთში და გაყავით ორ ტოლ ნაწილად.

### მომზადების წესი

კარგად შერბილებულ კარაქს შეურიეთ კვერცხი, შემდეგ არაჟანი, ძმარში გახსნილი სოდა, ჯავზი, აურიეთ კარგად და შეაზილეთ ფქვილი. მიღებული ცომი გაყავით სამ ტოლ ნაწილად. სამივე გააბრტყელეთ ცალ-ცალკე. ერთი ნაწილის გაბრტყელებული ფენა მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობ ყალიბში, მოაყარეთ ზემოდან საჩურთი, გადაადეთ მეორე ცომის ფენა და ასევე დაფარეთ საჩურთით. შემდეგ გადაადეთ ცომს მესამე ფენა, ზემოდან წაუსვით ორი კვერცხის გული, დასერეთ რომბისებურად (მჭრელი დანით) და შედგით გამოსაცხობად გაზქურაში, ნაზ ცეცხლზე.

## ხაჭოს ტორტი

მასალა ცომისთვის: 2 კვერცხის გული, 100 გრამი შაქრის ფხვნილი, 100 გრამი კარაქი, სოდა, ფქვილი.

მასალა საჩურთის ანუ სატენისთვის — 300 გრამი ხაჭო, 100 გრამი შაქრის ფხვნილი, 2 კვერცხის გული.

მოამზადეთ გოგლიმოგლი, დაუმატეთ შერბილებული კარაქი, 1 სუფრის კოვზი ძმარში გახსნილი ნახევარი ჩაის კოვზი სოდა, ან კარაქთან შერეული დანის წვერით ლიმონმჟავა და სოდა; ყველაფერი კარგად აურიეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ზომიერი სიმკვრივის ცომი, რომელსაც გააბრტყელებთ, მოათავსებთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობ ყალიბში და შემდგამთ გაზქურაში გამოსაცხობად (ნაზ ცეცხლზე), ვიდრე ბისკვიტი გამოცხვება. მოამზადეთ საჩურთი: გახეხეთ საცერში ხაჭო, დაუმატეთ ორი კვერცხის გული, შაქრის ფხვნილი, მცირე ვანილი. შემდეგ კარგად დასრისეთ ან ათქვიფეთ მიქსერით და თანაბრად წაუსვით გაცივებულ ნამცხვარს. მორჩენილი ცილა, 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი და მცირეოდენი ვანილი ათქვიფეთ მიქსერით იმ ზომამდე, რომ მიიღოთ ღრუბლისებური მასა — ცილის კრემი. დაფარეთ ხაჭოს ტორტი ცილის კრემით და შედგით საშუალო სიმხურვალის მქონე გაზქურაში (15-20 წუთით) იმ დრომდე, ვიდრე ზედაპირი ვარდისფრად არ დაიბრაწება.

## სტაფილოს ნამცხვარი

ჯაგრისით კარგად გარეცხილი 1 კილო სტაფილო მოხარშეთ მარილწყალში, გაცივების შემდეგ გაფცქვენით, გაატარეთ ხორცის მანქანაში ან გახეხეთ, მიღებულ მასას დაუმატეთ ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი, 4 კვერცხი, 50—60 გრამი კარაქი, 1 ცალი ლიმონის წვენი და ცედრა. ეს ყველაფერი კარგად ათქვიფეთ. შეაზილეთ ორი ჩაის ჭიქა ფქვილი, მიღებული ცომი გააბრტყელეთ ფქვილმოყრილ ფიცარზე (1 სმ სისქის ზომით) დაჭერით ჭიქით ან მიეცით რომბისებური ფორმა, დაალაგეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობზე და შედგით საშუალო სიმხურვალის გაზქურაში. ცხვება 10-15 წუთში.

# რჩევები

დამჯკნარი, მოღვენთილი მწვანილი რომ გამოაცოცხლოთ, 1 საათის განმავლობაში მოათავსეთ ძმრიან ცივ წყალში (1 ლიტრ წყალზე 1 სუფრის კოვზი ძმარი).

კარტოფილის ან ბოსტნეულის გარჩევა-დასუფთავებისას თითები რომ არ გაგიშავდეთ, სასურველია იხმაროთ უჟანგავი დანა, ამავე დროს ხელებზე წინასწარ გადაივლეთ ძმარი, რომელიც თავისით უნდა შეგაშრეთ ხელზე.

ხორცი ან თევზი კარგად რომ შეიწვას და არ გაშავდეს გამონაჟონი წვენისგან, ტაფაზე მოთავსების წინ შეამშრალეთ ტილოთი.

მანანას ბურღული ფაფუკი და სასიამოვნო რომ მომზადდეს, წინასწარ დაალბეთ რძეში ან წყალში ნახევარი საათით მაინც.

თუ კერძი დაგიმლაშდათ, მოათავსეთ პაწაწინა პარკში 100-150 გრამი მჭადის ფქვილი, ძაფით ჩაკიდეთ კერძიან ქვაბში, დატოვეთ 10-15 წუთით და სიმლაშეს გამოიტანს.

მგზავრობისას თუ თერმოსი თან არ გაქვთ, ბოთლით წყალს შეგიძლიათ შეუნარჩუნოთ სიგრილე, თუ გარედან ცივ წყალში დასველებულ ტილოს შემოახვევთ.

თუ კარტოფილი უხარისხოა და ცუდად იწვება (ზოგი ჩაიშლება, ზოგი კი უმი რჩება) შეწვის დროს დროდადრო დაასხურეთ მცირეოდენი წყალი.

სალათისათვის კარტოფილი უმჯობესია მოხარშოთ გათლილი სახით მარილწყალში, მოიხარშება თუ არა, გადაუღვარეთ წყალი, მოათავსეთ საწურზე, დატოვეთ მცირე ხნით თავლია, შეაგრილეთ და მერე დაჭერით.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.02.90 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.03.90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8. ტირაჟი 177.000. შეკვ. 318. უე 07030. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი რედაქციას

34 წელიწადი გავიდა 1956 წლის 9 მარტიდან.

იმ ტრაგედიის თაობაზე ბევრი წერილი გამოქვეყნდა 1988-1989 წლებში. პუბლიკაციების ავტორები მოითხოვენ, ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ დავიწყებას არ მიეცეს სრულიად უდანაშაულო გოგო-ბიჭების დარბევა-დახოცვის ამბავი.

ჩვენ ყველანი, — ჭირისუფლები — დედ-მამა, დაძმა თუ მახლობლები დიდ მადლობას ვუძღვნით ავტორებს, ამდენი ხნის მივიწყების ფერფლით დაფარული ტრაგედიის გამომზეურებისათვის.

წერილს ვურთავთ დაღუპულთა სურათებს და სიას, რომელიც შეძლებისდაგვარად, დიდიხნის ძიების შემდეგ დავადგინეთ, კვლავაც განვაგრძობთ ძიებას.

ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, როგორიღაც ფორმით უკვდავყოფილი იქნას მათი სახელები.

დაღუპულთა მახლობლების სახელით ნინო კანდელაკი-შანიძისა



6182/48
ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ.
ინდექსი 761